საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი 17 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 134 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 134

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სოფიო შვილებით: ნიკოლოზ, ვანო და საშათი, რძლებით: სონა, ცაბუ და ნინათი, და შვილიშვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 17 ივნისს ქ. ქუთაისში მოხდება დაკრძალვა მათთვის ძვირფას

**ნესტორ ფილიპეს ძე მიხაილოვის**

(1920 2—2)

ანნა მერაბის ასული; ივანე, ლიუბა, პავლე, დიმიტრი და ნიკოლოზ; ცაცა, ანა და შუშანა ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, ნათესავებსა და მეგობრებს პირველი თავისი მარად დაუვიწყარი მეუღლის, ხოლო დანარჩენნი ძვირფასი მამის

**ნიკოლოზ ბესარიონის ძის უზნაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე (ქუთაისი, პუშკინის ქ., ყოფ. ვიტუშინსკის სახლი). დაკრძალვა ხუთშაბათს, 17 ივნისს საღამოს 5½ საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.

(1918 2—2)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ნინო და ალექსი ხუბუტიები შვილებით ხუტუ და დულათი და დეიდა ციცინო ალშიბაია გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ადერბეიჯანის ფრონტზე მტრის მიერ განგმირულ

**პლატონი ალექსის ძე ხუბუტიას**

სულის მოსახსენებლათ სენაკის ძმათა სასაფლაოზე 19 ივნისს.

(1926 3—1)

მე-10 ბატალიონის ტყვიისმფრქვეველთა როტის ოფიცრები: უფროსი ლეიტენანტი ლევან ჩიტაიშვილი. უფროსი ლეიტენანტი ჯვებე ბესარიონის ძე და გიორგი ანტონის ძე დადიანები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულად გარდაცვალებას ძვირფასი ამხანაგის, ტყვიისმფრქვეველთა როტის უფროსის, გიორგის კავალერიის კაპიტნის

**შალვა კონსტანტინეს ძე ხოხაშვილის**

რომელიც გმირულათ დაეცა ს. ხულოში (აჭარა) ბანდებთან შეტაკების დროს 1 ივნისს. (1925 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მართა გიორგის ასული, შვილები ოლია, ნიკოლოზ, კონსტანტინე, ლიდა და სონა; ძმები: ერმილე, მიხეილ, ალექსანდრე და თეოფილე თავიანთ ცოლ-შვილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 27 ქრისტეშობისთვეს 1919 წელს უდროვოთ გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა ქ. როსტოვში მათი დაუვიწყარი საყვარელი

**კონსტანტინე ელიშუღის ძე შოშიტაიშვილი**

ამის გამო 20 ივნისს 1920 წ. ქ. ოზურგეთში თავიანთ სახლში დანიშნულია ტირილის დღე. (1925 1—1)

ღრმად დამწუხრებული და გულდამწვარი მეუღლე ნინო (ნუცა) ვასილის ასული აბაშიძისა, დაობლებული შვილებით, სიცოცხლით დატანჯული დედა ბაბუსი ელენტის ასული, ძმა პავლე; რძალი ბაბო აბაშიძენი, სიმამრი ვასილი იოსების ძე და სიდედრი ანტიოფ ჯაფარიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის უდროოდ დაკარგულის

**ოქროპირ სიმონის ძე აბაშიძის**

გადახდილ იქნება 18 ივნისს, დღითი პარასკევს ს. ჭალის (შორაპნის მაზ.) ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

(კუპ. 547—1—1)

სპირიდონ და სერგო მურზაყანის ძენი, კოხტა როსტომის ძე, დავით ქაიხოსროს ძე, ლუკა ელისეს ძე, ალექსანდრე ნიკოს ძე, ვანიჩქა კონსტანტინეს ძე, გიორგი მეთოდეს ძე, ანტონ ირაკლის ძე აბაშიძენი და ილიკო იასონის ძე წერეთელი, მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას მათი ძვირფასი მეგობრის

**ოქროპირ სიმონის ძე აბაშიძის**

რომლის 40 დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ს. ჭალის (შორაპნის მაზ.) ეკლესიაში 18 ივნისს, დღითი პარასკევს.

(კუპ. 552—1—1)

## განცხადება

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, (რუსთაველის პროსპექტი № 9 სასტუმრო „ორიანტის ქვეშ)“.

**საქართველოს კონსტიტუციის პროექტი**

შედგენილი და გამოცემული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ. პროვინციაში წიგნის მაღაზიებს შეუძლიანთ დაიკვეთონ ბითუმათ. ფასი 25 მანეთი. მაღაზიის ტელეფონი № 14—21. (ნ. 5—1)

**ბახმაროს** მომხმარებელი საზოგადოება **„ჯანმრთელობის“** გამგეობა ამით აცხადებს, რომ **კვირას, 27 ივნისს** ახ. სტ. მიმდინარე სეზონისათვის

**საჯარო ვაჭრობით გაიცემა**

საზოგადოების შემდეგი დაწესებულებები: 1) დიდი სასადილო, 2) სახორცე დუქანი და 3) პატარა სასადილო. ვაჭრობაში მონაწილეობისათვის საჭიროა გირაოს ფული. ვაჭრობა მოხდება ქ. ოზურგეთში ერობის შენობაში, დილის 11 საათზე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ოზურგეთში **ივანე ბ-ძე ღლონტთან.**

**გამგეობა.**

(1929 2—1)

## სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 17 ივნისს, ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

**სრულად!!! სრულად!!!**

**სამშობლო**

**ლიტანიით**

ქეთევანი—ნ. დავითაშვილი, სვიმონ ლიონიძე—ვ. გამყრელიძე, ლევან ხიმშიაშვილი—ალ. იმედაშვილი, შაჰი—ვალ. გუნია, ფაიხოში—ტასო აბაშიძე. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. (ნ. 2—2)

## ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

1) ყველას საყურადღებოთ აცხადებს, რომ კომიტეტი, ჯერ-ჯერობით, ანგარიშების დასრულებამდის არავის ფულით ერთდროულ დახმარებას არ აძლევს.

2) კომიტეტი სთხოვს ყველას, ყოველგვარ გაუგებრობის გამოსარკვევად, მიმართოს კომიტეტს, სასახლეში.

3) კომიტეტის სხდომა დანიშნულია კვირას, 20 ივნისს, დილის 11 საათ. სასახლეში, ყველა წევრის დასწრება საჭიროა.

კომიტეტის თავმჯდომარე **სერ. ჟორჟოლიანი,**

საქმეთა მმართველი **გერ. ქიქოძე.**

(1934 2—1)

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

თანახმად მთავრობის დადგენილებისა მომარაგების სამინისტრო ერობათა, კოოპერატივთა და კერძო სავაჭროების საშუალებით შეუდგა ნედლი პარკის დაგროვება შესყიდვას შემდეგ პირობებში: ნედლი პარკის მოსავლის ჩაბარება გასყიდვის დროს მეაბრეშუმე იღებს ადგილობრივ ბაზრის ფასს და როცა მთავრობა ხმელ პარკს გაასაღებს უცხოეთში, მეაბრეშუმეს მიეცემა კიდევ ზედმეტ ფასად 30 პროცენტი წმიდა მოგებისა, პარკის შესყიდვა-მიღება მოწყობილი იქნება ქ. თფილისში (სააბრეშუმო სადგური), თელავში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ლანჩხუთში. ნატანებში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, აბაშაში, ახალსენაკში, ბანძაში, ხობში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, გალში, ოჩემჩირში, სოხუმში, ზესტაფონში, უწერაში, ცაგერში და სხვ. უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მთავარ რწმუნებული ი. ქუთათელაძისაგან ქ. თფილისის და ქუთაისის სააბრეშუმო სადგურეში. (ნ. 15—3)

## განცხადება
### შრომის სამინისტროს სოციალურ დახმარებისა

ყველა იმ პირთ, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ თხოვნები სოციალურ დახმარებისათვის, უსათუოდ უნდა წარმოადგინონ მოწმობა სიღარიბისა და ნამსახურობის შესახებ.

**შრომის სამინისტრო.** (ნ. 5—4)

საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა დაამზადა

**ნ. ჟორდანიას ლიტოგრაფიული სურათი**

სუფთათ და ხელოვნურათ კარგ ქაღალდზე ზომით 16—13. ყველა მსურველთ, როგორც პარტიულ ორგანიზაციებს, ისე კერძო პირებს და საზოგადო დაწესებულებებს სურათი შეუძლიათ შეიძინონ ხელმისაწდომ ფასებში თფილისის კომიტეტში, ერთობის ქ. № 4.

## ავლაბრის მუშათა კლუბი

ხუთშაბათს ივნისის 17 — ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა — ხუთშაბათს ივნისის 17

გამართავს გრანდიოზულ

**საღამოს**

დამფუძნებელი კრების წევრი **ვიქტორ ციცქიშვილი** [ნაკითხა]ვს ლექციას: „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო“.

ცნობილი **პოეტები და მწერლები** წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს და სხვ. წაკითხულ იქნება სცენები, იუმორისტ. მოთხრობები და ლექსები, სატირა, შარჟები. **თარზე** დაუკრავს მ. დევაძე. გაიმართება აუკციონი, ანტრაქტებში დაუკრავს **მუსიკა.** დასაწყისი 8½ საათზე. (ნ. 3—3)

**სახალხო სიმღერა-გალობის სწავლა-ვარჯიშობა მიხეილ კავსაძისა**

ოთხშაბ. და პარასკევს საღამოს 5½—7½ ს. (1914—3—1) რუსთაველის პროსპ. № 17.

## ოპოზიცია პარტიულ ყრილობაზე

პარტიულ ყრილობამ მოისმინა სამი მოხსენება—ცენტრალური კომიტეტის, მთავრობის და დამფუძნებელი კრების ფრაქციის. უკანასკნელმა გამოიწვია გამწვავებული კამათი. ოპოზიციამ აქ შემოიკრიბა ძალები... დააყენა საკითხი ფრაქციის და მთავრობის დამოკიდებულების შესახებ. მთავრობა ანგარიშს არ უწევდა ფრაქციას,—ეს იყო ოპოზიციის დედა აზრი.

დიდ-ხანს გაგრძელდა კამათი. სამწუხაროთ ამხანაგებმა ორივე მხრიდან კამათში შეიტანეს ისეთი კილო, რომელიც ხელს არ უწყობდა პრინციპიალური კითხვის გამორკვევას.

ბოლოს გამოირკვა მაინც, მაგრამ უფრო მალე და ადვილათ გამოირკვეოდა, რომ თავიდანვე მშვიდობიანი ატმოსფერა შექმნილიყო.

გამოირკვა, რომ ატყდა ქარიშხალი ერთ ჭიქა წყალში. მართალი თქვა ოპოზიციის ერთმა წარმომადგენელმა,—პრინციპიალური სხვადასხვაობა ჩვენ არა გვაქვს, საქმე პრინციპის გატარებაში არისო. მართლაც, ეს ოპოზიცია არ ყოფილა არც მარჯვენა, არც მარცხენა. პროგრამულ და ტაქტიკურ კითხვებში ის სდგას მთავრობასთან ერთ ხაზზე.

მაგრამ, როგორც გვარწმუნებდენ ოპოზიციის წარმომადგენლები, მთავრობა ზოგიერთ კითხვებში მუშაობდა დამოუკიდებლად, ფრაქციას ან სულ არ უკეთებდა მოხსენებას, ან უკეთებდა ფაქტის შემდეგ, გვაყენებდა ფაქტის წინაშეო. ყრილობამ მოისმინა ფაქტიური შენიშვნები მთავრობის მხრივაც. როგორც ამ შენიშვნებიდან სჩანდა, მთავრობის წევრები ყოველთვის გამოდიოდენ მოხსენებებით ფრაქციის წინაშე, და თუ ამა თუ იმ შემთხვევებში ეს ხდებოდა ფაქტის შემდეგ, ალბათ შეუძლებელი იყო წინ და წინ.—ეს იყო კერძო შემთხვევები და არა სისტემაო—სთქვა მთავრობის წევრმა.

რომ ჩამოვაცილოთ ამ კითხვის გარშემო ატეხილ კამათს ზოგიერთი ცხარე სიტყვები და წამოძახილები, მივიღებთ შემდეგს:

ფრაქცია, როგორც პარტიული ორგანო, მოითხოვს მთავრობისაგან პასუხისმგებლობას.

მთავრობა პრინციპიალურად არ უარყოფს და, რა თქმა უნდა გრძნობს ამ პასუხისმგებლობას **პარტიის** წინაშე.

მთავრობამ და პარტიის მთავარმა ორგანომ უნდა იქონიონ, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარი ხელშეკრულება კერძო შემთხვევების შესახებ... მოხსენება წინდაწინ, თუ ფაქტის შემდეგ... ეს ხშირად დამოკიდებულია არაჩვეულებრივ დროის არაჩვეულებრივ პირობებზე. თავი და თავი საქმეა სისტემა და არა ესა თუ ის მაგალითი.

ფრაქცია მოითხოვს კრიტიკის თავისუფლებას.

მთავრობა არ უარჰყოფს ამ პრინციპს. ის ამბობს მხოლოდ, რომ კრიტიკა უნდა იყოს ამხანაგური, დამხმარებელი, და არა მტრული და დამარღვეველიო. ამას დაეთანხმებოდა ყრილობაზე ფრაქციის მომხსენებელი და მთელი ოპოზიციაც.

შეუძლებელია სხვადასხვაობა ამ კითხვაში. ჩვენ პარტიას ყოველთვის ახასიათებდა კრიტიკა, კრიტიკული აზროვნება. ამით გაირჩეოდა და გაირჩევა ის სხვა პარტიებისგან. სოციალ-დემოკრატია დაჰკარგავს თავის თავს, როცა ის ხელიდან გაუშვებს კრიტიკულ იარაღს და მონასტერში დაიბუდებს.

ფრაქცია მოითხოვს, რომ ანგარიში ეწეოდეს მთელ ორგანიზაციას და არა ამა თუ იმ გავლენიან პიროვნებას. მთავრობასაც ასე ესმოდა თავისი პასუხისმგებლობა. ასე ესმის ახლაც, ასე გამოთქვეს თავისი აზრი ყრილობაზე მისმა წარმომადგენლებმა.

ოპოზიცია მოითხოვს ამხანაგურ დამოკიდებულებას, ნდობას და არსებობის უფლებას. არავინ არ უარყოფს პარტიაში ამ უფლებას, მაგრამ ერთი პირობით,—ოპოზიცია უნდა იყოს, როგორც იდეური მიმდინარეობა და არა როგორც ორგანიზაცია ორგანიზაციაში.

არის საზოგადოთ ორნაირი ოპოზიცია. ერთი დგას გარეთ. ის ცდილობს თავისი კრიტიკით შეარყიოს მთავრობის მდგომარეობა, ბოლოს მისი ადგილი დაიჭიროს. მეორე დგას შიგ, ის ცდილობს თავისი კრიტიკით მთავრობა შეცდომებს ააშოროს, გაამტკიცოს მისი ავტორიტეტი და მისი მდგომარეობა.

მმართველი პარტია ებრძვის პირველ ნაირ ოპოზიციას და სიამოვნებით თანამშრომლობს მეორენაირ ოპოზიციასთან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ კამათის შემდეგ მთავრობა, ცენტრალური კომიტეტი, დამფუძნებელი კრების ფრაქცია კიდევ უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს და პარტიაში ფეხს მოიკიდებს ნდობით და სიყვარულით გაჟღენთილი ატმოსფერა.

## პრესა

„ნორ-აშხატავორი“ (№ 56) კიდევ ეხება ეროვნულ უმცირესობათა და სახელდობრ სომხეთის საკითხს. მისი აზრით, მხოლოდ აჭარა, აფხაზეთს და ოსეთს „სადაც ეროვნება“ განსაკუთრებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს“, სახელმწიფოს მიერ დაპყრობილი აქვს ეროვნულ უფლებათა უზრუნველყოფა, რაც შეეხება სომხებს, მათი უფლებები საქართველოში მუდამ ითელება ეს გაზეთის აზრით, დიდი უსამართლობაა:

„არავისათვის საიდუმლო არ არის რომ ეს უზარმაზარი ქალაქი აშენებულია უმთავრესად სომხურ კაპიტალის წყალობით, ეხლანდელი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მთელი მეურნეობა და კულტურა სომეხ მშრომელ გლეხობის ფულისგან წარმოიშვა.

„აღარას ვიტყვი იმაზე, რომ ქართლის დედა ქალაქი გორი თავის დროს საქართველოს სომხობის კულტურულ ერთი აკვანთაგანი ყოფილა. სომეხი ხალხი ახალშენის მდგომარეობაში არ არის, როგორც მაგალითად—ბერძნები გერმანელები და რუსები. მას საუკუნეებით მუდმივ უცხოვრია ქართველი დემოკრატიის გვერდით ბოლომდე დაუცლია მასთან ერთად სიხარულის და სიმწ[illegible] ფიალა [illegible] უფლება აქვს მასთან ერთად იგემოს თავის კულტურულ და ეროვნულ თვითშეგნების შესაფერი თავისუფლება.

„ეს გარემოება გამოიცვალა; მთავრობამ თავის უფლებათ ჩასთვალა უხეშად ჩარეოდა და აეკრძალა სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები მხოლოდ იმ მიზეზით, რომ თავის ლაქიების დამარცხება გამოაშკარავდა. ამ ნაბიჯს მოჰყვა ადმინისტრაციის ოინები სომხურ სკოლების და ეროვნულ საბჭოს წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, მთავრობა, მგონია, ცდიდა სომეხი მშრომელი ხალხის მოთმინებას და მხოლოდ ამ განუსაზღვრელ მოთმინების და მთავრობის ამგვარსავე განუსაზღვრელ ინტრიგების წყალობით, სომეხი მშრომელი ხალხი და მისი უმაღლესი მმართველი ორგანო დღეს იმყოფებიან იმისთანა მძიმე და უუფლებო მდგომარეობაში, რაც არ შეიძლება მოსათმენი იყოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში...

„ვიცით, რომ ეს შენიშვნები გამოიწვევენ დიდ წუწუნს ქართველ ეროვნულ წრეებში, მაგრამ ჩვენ საჭიროთ ვთვლით ავასრულოთ ჩვენი მოვალეობა და სიმართლე თავის მთელი სიშიშვლით გავხადოთ საზოგადოების მისაწვდომათ.

„ისტორიულ წარსულში სომეხ და ქართველ დემოკრატებს ხელი-ხელ ჩაკიდებული უბრძოლვიათ ყველა ხიფათის წინააღმდეგ და ეხლა ვერ შევიძლიან დავჩუმდეთ იმ არა საკადრის ცდებზე, რომლების მიზანია სომეხი მშრომელი ხალხი ჩაიგდოს მარტო „ქვეშევრდომების“ და არა უფლებრივ მოქალაქეთა მდგომარეობაში“.

არავის თავში არ მოუვა უარჰყოს ის რომ საუკუნეთა განმავლობაში სომხებს ქართველთა გვერდით უცხოვრიათ, უმუშავნიათ და ქართველ ერს შესისხლხორცებიან. „დაშნაკცაკანებს“ მხოლოდ დღეს დასჭირდათ აღნიშვნა ამ ფაქტისა, რომელსაც ჩვენ მუდამ ვქადაგობდით, სომხთა ეროვნულ ინტერესებს ჩვენ, იმედი გვაქვს, უზრუნველვყოფთ ბევრათ უკეთესად, ვიდრე „დაშნაკლები“, რომლებიც სომხების ინტერესების უზრუნველყოფა ესმით, როგორც სომხეთა და ქართველთა დაპირისპირება. ძალიან დამახასიათებელია „დაშნაკელთათვის“ ის სიტყვები, რომლებიც „სომხურ კაპიტალს“ შეეხება: თურმე ქალაქი თფილისი სომეხ-კაპიტალისტების მიერ ყოფილა აშენებული. კაპიტალის იდეოლოგები ყველგან იმას გაიძახიან, რომ კაპიტალია სიმდიდრის ერთად-ერთი წყარო. მუშათა კლასი სხვანაირი აზრისაა, სიმდიდრე და, კერძოთ, თფილისის სიმდიდრეც შრომამ შექმნა და არა კაპიტალმა, რომელიც თითონვე ოქროდ ქცეულს მშრომელთა ოფლს წარმოადგენს.

## მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე

მიუხედავათ ყველა იმ ათას გვარ გარეშე და შინაურ დაბრკოლებებისა, რომელნიც წინ ეღობებიან ჩვენ ახალგაზრდა რესპუბლიკას, მაინც საფუძველი გვაქვს ვსთქვათ, რომ ჩვენი აგრარული რეფორმა ბოლომდის ხორციელდება.

მართალია, აგრარული რეფორმა არაა უებარი საშუალება თავდაცვისა ყველა იმ სიდუხჭირეთაგან, რითაც გარშემორტყმულია მშრომელი მასსის დღევანდელი ცხოვრება. და ჩვენც თავის დღეში არ ვამტკიცებდით, რომ აგრარულ კანონებით დავამყარებთ საერთო ბედნიერებას, როგორც ეს წარმოდგენილი ქონდა ნაროდნიკულ მიმართულების მსოფლმხედველობას.

ვიდექით რა მეცნიერულ ნიადაგზე, ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ აგრარულ ვითარების არსებული ურთიერთობა რუსეთის სინამდვილეში მოითხოვს რადიკალურ ზომებს აგრარულ კითხვის გადასაჭრელად და ეს ზომები უნდა ყოფილიყო არა გამოგონებული, არა სურვილებზე დამყარებული, არამედ რეალური, შეფარდებული ეკონომიური ცხოვრების განვითარებასთან...

პირდაპირ ბრმა უნდა იყოს მართლაც ადამიანი, რომ ვერ შეამჩნიოს კაპიტალისტური წარმოების სისტემის საშინელი ზეგავლენა სასოფლო მეურნეობაზე.

საკმარისია ვსთქვათ, რომ სოფლის მუშა ე. წ. გლეხი თავის მეურნეობის ნაწარმოებს თვითონ ნაკლებად ხმარობს, თავის მეურნეობას ის აწარმოებს არა თავის დასაკმაყოფილებლად, არამედ ბაზარზე გასაყიდათ. აქ კი ის სრულიად ემორჩილება ამ უკანასკნელს, ბაზარს. მისი ნაწარმოები ვარდება გაცვლა-გამოცვლის, ბაზრის ფასის, კაპიტალისტურ მეურნეობის ტრიალში. ასეთ პირობებში საჭირო იყო აგრარულ საკითხის ისეთნაირად მომართვა, რომ მას ერთის მხრით არ შეეჩერებია ეკონომიური განვითარება და [illegible] მუშა იმ ბატონურ მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩააყენა ის მესამოცე წლების რეფორმამ, რომელმაც შექმნა გლეხისთვის საშინელი პირობები მემამულეთა სასარგებლოდ. საჭირო იყო ბატონ-ყმურ ნაშთების სრული ლიკვიდაცია. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ და ჩვენი ქვეყნის აგრარულ კანონმდებლობამ ამ უკანასკნელ მიზანს მიაღწია სავსებით. მოხდა ისეთი ლიკვიდაცია ნახსენებ ურთიერთობისა, რომ მის აღდგენაზე მხოლოდ გაუსწორებელ უტოპისტებს შეუძლიათ ოცნებობა.

ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ პირველი ნაწილი რეფორმისა—მიწების ჩამორთმევა—თითქმის დამთავრებულია რესპუბლიკი ტერიტორიის მთელ სივრცეზე. მთავარი მომენტია რეფორმის მეორე ნაწილი. მიწის დარიგება, დაკმაყოფილება უმიწაწყლო და მცირე მიწიან გლეხებისა. აქ კი უნდა შევნიშნოთ, რომ მდგომარეობა ამ მხრით—ჩვენ მხედველობაში გვაქვს დასავლეთი საქართველო. არ შეიძლება ითქვას მაინც და მაინც ხელსაყრელი იყოს. სახელმწიფო ფონდში გადარიცხულ მამულების რაოდენობა იმდენად ცოტაა, რომ მიწის უმნიშვნელო და მცირე ნაწილი ხვდება მიწის მუშა გლეხს. მიწად მოქმედების სამინისტროსთვის ეს გარემოება დამალული არ არის და ის უწევს რა ანგარიშს ამგვარ მდგომარეობას, ცდილობს მიწის სიმცირე გაანაზღაუროს მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ წესების შემოღებით, ე. წ. მიწის ინტენსიფიკაციის საშუალებით. ჩვენ რასაკვირველია გვჯერა რომ ხალხი შეითვისებს გაუმჯობესებულ წესებს მიწის დამუშავებისა, რასაც ხელს შეუწყობს განვითარებულ ევროპის სიახლოვე, ჩვენი ხალხის უტყუარი ნიჭი, ახალგაზდა თვითმართველობათა უნარი, დემოკრატიული წყობილება ჩვენი ქვეყნისა და სხვა, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ მიუხედავად ყველა ამ ხელსაყრელ პირობებისა, მიწის ინტენსიურ დამუშავებაზე გადასვლას წინ ეღობება ისეთი მთავარი დაბრკოლება, როგორიც არის კაპიტალის უქონლობა. ინტენსიფიკაცია უკაპიტალოდ შეუძლებელია და ძალიან საეჭვოა ჩვენ შორეულ მომავალშიაც რაიმე შედეგებს მივაღწიოთ. მეორეს მხრით არ უნდა დავივიწყოთ თუ რამდენად ჩამორჩენილია სასოფლო მეურნეობა ჩვენში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველ ყოფილ წესებს ის არ გასცილებია.

თვით ისეთი ბურჟი პირველყოფილ შეხედულებისა, როგორიც იყო რუსეთის სამიწად-მოქმედო უწყების გამგე კრივოშეინი, ისიც კი განცვიფრდა და თავის ცნობილ წერილში ის იძულებული იყო ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ მთელ ამიერ-კავკასიაში არ მოიპოვება ერთი სამაგალითოდ დაყენებული სამიწად-მოქმედო მეურნეობაც. როდესაც ჩვენ ამნაირად ჩამორჩენილ რუსეთსაც ჩამოვრჩით. სჩანს მდგომარეობა მართლაც უნუგეშოა. სანამ კი

## დღეს

**გერმანიაში კაბინეტის კრიზისი გრძელდება.**
**იტალიაში ჯიოლიტი კოალიციური კაბინეტის შედგენას ფიქრობს.**
**იტალიის მისიის ცნობით გენ. ვრანგელის ჯარი ყირიმში წინ მიიწევს.**
**ბალშევიკების ცნობით პოლონელები კიევის რაიონში იხევენ.**

გენერალური შტაბის ცნობა.

**16 ივნისი.**

**16 ივნისს როყის მიმართულებით სამხედრო მოქმედებანი გრძელდებოდა.**

**დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.**

---

დაეეწეოდეთ ევროპას, ეჭვს გარეშეა დიდი დრო და ჟამი გაივლის. ჩვენი გლეხი, სოფლის მუშა კიდევ დიდ ხანს დარჩება ასეთ პირობებში თავის პირველ ყოფილ საწარმოო იარაღით, თავის ტრადიციონულ ხარ-კამეჩით. ამ მხრითაც ჩვენ არ შეგვიძლია ერთ გარემოებაზე არ შევჩერდეთ. საქმე იმაშია, რომ ამ მსოფლიო ომის შემდეგ სოფლის წარმოებებზე ფასების ზრდამ, სამრეწველო დარგების დასუსტებამ მეტად გააფართოვა დასამუშავებელ მიწების რაოდენობა. ჩვენ უკვე უტყუარი საბუთები გვაქვს თუ რამდენად გაიზარდა დამუშავებულ მიწების სივრცემ შედარებით იმასთან, რაც იყო ომამდე. ეს ბუნებრივი მოვლენის პროცესსი, რომელსაც მომავალშიაც დიდათ ხელს შეუწყობს და გააძლიერებს მცხოვრებთა რიცხვის გამრავლებსა, სახიფათო ხასიათს ღებულობს პირუტყვთა მოშენების საქმისათვის, სათიბ-საძოვრებისათვის გამოსადეგი მიწები იქცევა საყანო მიწებათ და ჩდება ისეთი პირობები, რომ გლეხი იძულებულია თავი მიანებოს მუშა საქონლის გაშენებას. ვერავითარი ფულის კურსის დაცემით, ვერავითარი პროცენტების გამონაგარიშებით ვერ იხსნით იმ საზღაპრო სიძვირეს მუშა საქონელზე, რომელსაც ადგილი აქვს დღეს დასავლეთ საქართველოში. ყოველგვარ საგნებზე საოკარ სიძვირის ხანშიაც პირუტყვის სიძვირე განსაცვიფრებელია. ამ შენიშვნის ავტორი თვით მოწმე იყო იმ სამაგალითო მოვლენის, როდესაც დასავლეთ საქართველოს ერთერთი სამაზრო ერობა ათასობით იწერდა თივას თფილისიდან ისეთ სოფლებისთვის, რომელნიც განთქმული იყვნენ საძოვრებით და ესეც ჩვენი ქვეყნის ისეთ კუთხეში, როგორიც არის სამეგრელო—ნაქები პირუტყვის მოშენებით. საძოვრების მოსპობა, რა თქმა უნდა, გამოიწვევს პირუტყვთა მოშენების ისეთ დაცემას, რომელიც თავის მხრით ძირს გამოუთხრის გლეხის კეთილდღეობას და სავსებით გაანადგურებს მის მეურნეობას. უდავო ჭეშმარიტებათ უნდა ჩაითვალოს ის უბრალო დებულება, რომ ერთად-ერთი საწარმოო იარაღი გლეხისთვის, სოფლის მეურნეობისათვის არის მისი მუშა საქონელი, პირუტყვი, რომლის გარეშე იგი დღეს არ შეუძლია არსებობა. ამისთვის ჩვენ ვამბობთ, რომ მიწის დამუშავება ელექტრონის ან ორთქლის მანქანებით ცოტა შორეული საქმეა და საჭიროა ახლავე დიდი ყურადღება მიექცეს საძოვრის საკითხს. დარიგების პროცესში ეს საკითხი მთავარ მომენტად უნდა იქნეს მიჩნეული, საფონდო მამულებიდან უნდა იყვეს გამოყოფილი ამა თუ იმ სოფლისთვის პირველ ყოვლისა საძოვარი ადგილები, მართალია, ისედაც მცირე ნაწილი დასარიგებელ მიწის შემცირდება, ყველას მოაკლდება თვალსაჩინო პროცენტი ხვედრი მიწის, სამაგიეროდ დანელდება პირუტყვთა გაშენების კრიზისი, რომელიც ასეთ ზიანს უმზადებს მიწის მეურნეს. ჩვენ კარგათ გვესმის ამ კითხვის სიძნელე. ვიცით, თუ რა დიდი მოთხოვნილებაა მიწაზე, თუ რა ხარბათ ეწაფება გლეხი ერთ მტკაველ მიწასაც. მაგრამ ჩვენ მაინც ვამბობთ, რომ სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს ისეთ პირობების შექმნას, რომ სოფლის კეთილდღეობა არ შეირყეს, თუმც ზოგიერთი პირების და თუ გნებავთ ფართე ჯგუფებიც დაიჩაგროს. საჭიროა, ჩვენ აგრარულ კანონმდებლობაში იქნეს შეტანილი მცირე ცვლილება, რომ საფონდო მიწების დარიგების დროს მიეცეს უფლება სოფლის თემებს ეხლავე გამოყონ თავისთვის სათანადო რაოდენობა მიწებისა საძოვრებისთვის და არავითარ შემთხვევაში არ გაუშვან ისინი კერძო საკუთრების წესით დასარიგებლად, როგორც ეს მოიმოქმედა ავსტრალიის კანონმდებლობამ 1884 წელში, როდესაც მან ყველა სახელმწიფო ფონდის მიწები დაყო ორ კატეგორიად—სახნავ-სათეს და საძოვრად და ამ უკანასკნელზე აღკრძალა რა მისი ყიდვა-გაყიდვა, დააწესა იჯარით გაცემის წესი.

**დალაზანს.**

## საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა

**14 ივნისი, სალამოს სხდომა.**

იხსნება კამათი მთავრობის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობას იღებენ ამხანაგები: ტუსკია, კლიმიაშვილი, თევზაია, მალანია, ხუროძე, კოპლატაძე, აიოლლო, მენაღარიშვილი, ირემაშვილი, ნ. რამიშვილი. მსჯელობის მთავარ საგნათ გახდა ეკონომიური საკითხი სოციალურ აღმშენებლობის შესახებ.

**ამხ. კლიმიაშვილი.** ორატორი აღნიშნავს, რომ მოხსენება ყოველ მხრივ დასაბუთებულია; მაგრამ იგი მაინც ვერ იზიარებს მოხსენების პრინციპიალურ მხარეს სოციალურ აღმშენებლობის შესახებ. იგი ამბობს, რომ არც ევროპაში, არც ჩვენში სოციალურ რევოლუციის პროცესი ჯერ არ დაწყებულა. მისი აზრით, ის მოვლენა, რომ თავი იჩინა წარმოების საზოგადოებრივმა ფორმებმა, არ ნიშნავს ამ პროცესის დაწყებას, არამედ ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვცდილობთ დროებით, როგორც მოგვეხერხება, ისე მოვაგვაროთ განადგურებული წარმოება. ამითვე აიხსნება ფინანსიურ კაპიტალის როლის დაქვეითება. საქართველოს სოც.-დემოკრატიის მუშაობა მხოლოდ დემოკრატიული მუშაობაა. ორატორი შემდეგნაირათ ცდილობს დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები: აგრარულ საკითხში ჩვენ იძულებული შევიქენით გლეხურ ფსიქოლოგიისთვის დაგვეთმო და უარვყავით მუნიციპალური სისტემა. ჩვენ ვაკეთებთ რადიკალურ დემოკრატიის საქმეს, ხოლო არაფერს სოციალისტურს. თუ ჩვენ რაიმე საზოგადოებრივ წესსა ვქმნით,—ვქმნით იმიტომ, რომ ანგარიშს ვუწევთ მომენტის მოთხოვნილებებს და არ შეგვიძლია ვთქვათ: აი, დღეს დადგა ეკონომიური შესაძლებლობა სოციალიზმისათვის. ამ მუშაობის დაწყება არ შეიძლება ევროპის იმედით. ასეთი იმედი, ჩვენ ვიცით, დამარცხდა რუსეთში. ჩვენი მთავარი ყურადღება ეკონომიკას უნდა მივაქციოთ; ეს კი არ უშლის ხელს სოციალისტურ აღმშენებლობის დაწყებას. ჩვენ უნდა აშკარათ განვაცხადოთ, რომ დროებით ხალხური, დემოკრატიული პარტია ვართ.

**ამხ. ბ. თევზაია.** ორატორი ეკამათება ამხ. კლიმიაშვილს და სხვათა შორის ამბობს: საქართველოს სოციალ-დემოკრატია ჩაუდგა სათავეში სახელმწიფოს და, აკეთებს რა დემოკრატიის, ხალხის საქმეს, ამასთანავე აკეთებს თავის საკუთარ, მუშურ საქმესაც. ჩვენში ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეეძლო სათავეში ჩადგომოდა სახელმწიფოებრივ მუშაობას, იყო მუშათა კლასი. სხვა კლასები სუსტნი იყვნენ. მუშათა კლასს არ შეუძლია დღეს სხვაგვარი პოლიტიკა აწარმოოს, თუ არ საკუთარი პოლიტიკა, რომელიც ამასთანავე მთელი დემოკრატიის პოლიტიკაა. დასავლეთ ევროპაშიც იმ ნიადაგზე სდგანან, რომ დღეს დროა შეუდგნენ სოციალისტურ აღმშენებლობას. ჩვენი მთავრობაც ვერ ჩამორჩებოდა ამ პროცესს. და სოციალ-დემ. პარტიაც აქ აკეთებს მუშურ და დემოკრატიულ საქმეს.

**ამხ. აიოლლო** მოხდენილ სიტყვაში ეკამათება ამხ. კლიმიაშვილს და იცავს მომხსენებლის დებულებებს.

**ამხ. ს. მენაღარიშვილი და ი. ირემაშვილი** აღნიშნავენ, რომ მთავრობა კიდევ უფრო ადრე უნდა შემდგარიყო სოციალისტურ აღმშენებლობის ნიადაგზე.

**ამხ. ნ. რამიშვილი** ეხება ამხ. კლიმიაშვილის მოსაზრებებს და ამბობს: საჭიროა გავითვალისწინოთ, მართლა ვახდენთ ჩვენ ჩვენი შეხედულებათა რევიზიას, თუ ვაგრძელებთ ძველ ნაცად გზას. 1892 წელს ენგელსი სწერდა: საერთაშორისო ომს მომავალში უსათუოდ სოციალური რევოლუცია მოყვებაო. ჩვენი პარტიის კონფერენციამ 1914 წელს გამოიტანა დადგენილება, რომ ამ ომს უსათუოდ მოყვება უუდიდესი კატაკლიზმების ხანაო. მაშასადამე, ის, რაც დღეს მომხსენებელმა წამოაყენა თავის მოხსენებაში, — არავითარ ახალს არ შეიცავს. ასევე მსჯელობდა კაუცკიც; ეს არის ჩვენი ძველი პრინციპი. მაგრამ შეიძლება ეს გვაახლოვებდეს კომუნისტებთან? ასეთი შეხედულება შემცდარია: ბალშევიკები ბრძანებენ, რომ მათ ეხლავე სოციალიზმი განახორციელეს; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იქ სოციალიზმის მგზავსიც კი არაფერია. ისინი ანაწილებენ, რაც მოეპოვებათ; ეს არის პირველყოფილი კომუნიზმი და არა სოციალიზმი: ამხ. კლიმიაშვილი მხედველობიდან უშვებს მარქსიზმის ანბანს, როდესაც ხალხურ პოლიტიკაზე ამბობს: არ არსებობს პოლიტიკა, გარდა კლასიურ პოლიტიკისა. ჩვენი პოლიტიკაც სწორეთ კლასიური, მუშური პოლიტიკაა და სრულებითაც არ გამომდინარეობს ბურჟუაზიის ინტერესებიდან.

ამით სრულდება კამათი და სიტყვა მომხსენებელს ეძლევა.

**ამხ. ნ. ჟორდანია.** რადგანაც კამათი უმთავრეს ნაწილათ ეკონომიურ საკითხმა გამოიწვია, მომხსენებელიც მთავარ ყურადღებას ამ მხარეს აქცევს და იცავს თავის მოხსენების მთავარ დებულებას. იგი ამბობს: მიწის ერთი ნაწილი (ტყეები) ჩვენ სახელმწიფოს კუთვნილებათ გამოვაცხადეთ. ჩვენს ხელში გადმოვიდა აგრეთვე კულტურული მამულები. ხოლო წვრილი მამულები გლეხებისათვის უნდა გადაგვეცა. ეწინააღმდეგება ეს სოცისლისტურ პოლიტიკას, თუ არა? რასაკვირველია, არა. არც მარქსს და არც სხვა რომელიმე თეორეტიკოს არას დროს არ უთქვამთ, რომ ჩვენ მოვსპობთ წვრილ საკუთრებასო. სოციალიზაცია პირველათ ნიშნავს სხვილ წარმოების განსაზოგადოებრიობას. ხელუხლებელი რჩება წვრილი წარმოება, რომელიც შემდეგ თვით შეუერთდება საერთო წესს. ასევე შვრებიან დღეს დასავლეთ ევროპაში. ჩვენ რომ ასე არ მოვქცეულიყავით,—მაშინ ჩვენი იზოლიაცია მოხდებოდა ისე, როგორც ეს ბალშევიკებს მოუვიდათ რუსეთში. სოციალისტური რევოლუცია არ არის ერთი კვირის, ან თვის საქმე. ჩვენ ყოველთვის ანგარიშს ვუწევდით ევროპის ობიექტიურ პირობებს, ვუწევთ დღესაც და უნდა ვეცადოთ არც ჩამოვრჩეთ მას. რასაკვირველია, თუ იქ, ევროპაში რეაქცია გაბატონდება,—რეაქციის სუსხი ჩვენც მოგვხვდება მაგრამ დღეს მთავრობაში ჩვენ მიტომ ვართ, რომ ვაშენოთ სახელმწიფო ისე, როგორც ჩვენს ჰკუასა და პროგრამას შეეფერება.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ყრილობა, მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება, იწონებს სავსებით მთავრობის საერთო პოლიტიკას, როგორც საშინაო და საგარეო, ისე ეკონომიურ სფეროში და გადადის მორიგ საკითხებზე".

რეზოლიუციას ხმა მისცა 93 კაცმა, წინააღმდეგი არ ყოფილა, თავი შეიკავა ერთმა.

მდივანი გრ. ურატაძე აქვეყნებს ცეკას სახელზე კარაკლისიდან მოსულ შემდეგ დეპეშას: „სომხეთის სოც.-დემოკ. პარტია მხურვალე სალამს უძღვნის თქვენი პარტიის ყრილობას და უსურვებს მას ნაყოფიერ შედეგებს, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა, ჩვენი ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის დამყარებისა და ამიერ-კავკასიის დემოკრატიაში მეცნიერულ სოციალიზმის პრინციპების ჩანერგვისაკენ.

ძმური სალამით ცეკა: **ბახშინი, იშხანიანი დავით, ანანუნი ლევან, სარქისიანი აშოტ.**

ამის შემდეგ სხდომა იხურება.

**15 ივნისის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

განსახილველია დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციის მოხსენება. ფრაქციის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. **გრ. გიორგაძე**, რომელიც ვრცლათ აღნიშნავს ფრაქციის მუშაობის სხვადასხვა მომენტებს. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ფრაქციის საგრძნობი ნაწილი მოწყვეტილი ყოფილა დამფ. კრებაში მუშაობას, ვინაიდან 10 წევრი მთავრობაში ყოფილა, 10 მუდამ საზღვარგარეთ სხვადასხვა დელეგაციებში, 10 სახალხო გვარდიაში და რამდენიმე წევრი კი თვითმართველობებში. ეს გარემოება ხანდისხან აფერხებდა ქვორუმის შედგენასო. მიუხედავათ ამისა, ფრაქციას ენერგიული მუშაობა უწარმოებია მეტად მძიმე პირობებში. მისი მთავარი სამოქმედო ხაზი ყოფილა სოციალისტური აღმშენებლობისათვის ნიადაგის მომზადება, დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ სიარული. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ნ. იმნაიშვილმა, ნ. ჟორდანიამ, კ. ნინიძემ, ი. სალაყაიამ, ი. რამიშვილმა, ნ. ხომერიკმა, ევ. გეგეჭკორმა, გრ. ურატაძემ, გრ. გიორგაძემ, მუხ. ხოჭოლავამ და სხვ. მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ ერთხმათ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა გრ. გიორგაძის მოხსენება დამფ. კრების ს. დ. ფრაქციის მუშაობის შესახებ, ყრილობა იწონებს მას და გადადის მორიგ საკითხებზე".

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

**პურის ბარათების ქურდობა.** მოსკოვის რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა გაარჩია მოქ. ორლოვის საქმე, რომელიც პურის ბარათების საბეჭდავ დაწესებულებაში მსახურებდა და რომელსაც ბრალათ ედებოდა 459 პურის ბარათის მოპარვა, რომლებიდანაც 243 მას უკვე გაუყიდია „სუხარევკაზე" 43.000 მანეთად. გარდა ამისა აღნიშნული ბრალდებული ცდილობდა დაემზადებია ყალბი დოკუმენტები სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. ტრიბუნალმა ორლოვს 10 წლნს იძულებითი მუშაობა მიუსაჯა თავისუფლების წართმევით. „იზვესტია" № 89).

კვლავ სუხარევკას სპეკულიაცია!

**„ღირსეული პატივისცემა"** „ამხ. კედროვი და პოპოვი იტყობინებიან არხანგელსკიდან, რომ ლენინის დაბადებიდან 50 წლის თავზე 1,340 ამხანაგ კომუნისტებმა და უპარტიოებმა იდღესასწაულეს ლენინის დღეობა გაძლიერებული ზედმეტი მუშაობით, ამ რიცხვში არ შედიან ზოგიერთი ქარხნები, რომლებმაც ზედმეტი 2—3 საათი იმუშავეს. შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაო: გადავათრიეთ 2.164 ბოჭკა „სელიოდკა", ამოვთხარეთ 800 ფუთი ნახშირი, რაც თეთრ გვარდიელებმა დაფლეს. მოვაგროვეთ ქუჩაში 30 ვერსი კაბელი, დავჩეხეთ და დავხერხეთ 30 კუბ. საჟ. შეშა, მუშა ქალებმა გარეცხეს და მოკერეს ყველა საცვლები ლაზარეთებში და სავავათმყოფოებში". (იზვესტია" № 89).

„ვოშებოიკა"?!.

**შრომის ბეგარა.** შრომის ბეგარის გამაგრებელ მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის ბერეჟინსკის დროებით მოადგილეთ დაინიშნა ლ. პ. სერებრიაკოვი.

საქმით შრომის ბეგარის იძულებით გამტარებელი კომიტეტი, სიტყვით კი ბალშევიკების ყაყანი მუშები ერთსულოვნად გამოდიან შრომის ბეგარის მოსახდელათო...

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

16 ივნისი.

**ბალშევიკების ცნობები.**

**გერმანიის დელეგაცია.**

**მოსკოვი.** ივნ. 14. მოსკოვში მოვიდა დელეგაცია გერმანიის შრომის ორგანიზაციებისა, რომელთაც გადასახლება სურთ საბჭოთა რუსეთში. დელეგაცია წარმოადგენს მთელს რიგს გადასახლების მსურველთა კავშირებისას, რომლებიც წარსულ ზამთარში გერმანიის სხვადასხვა ადგილებში შესდგა. გაერთიანდა 10,000 კაცი სხვადასხვა პროფესიისა. მათ სურთ რუსეთში გადმოსახლება. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა გერმანიის გადმოსასახლებელ დელეგაციასთან პირობები და წესრიგი სასოფლო სამეურნეო კოლონიზაციის საშუალებისა, როგორც ჩრდილოეთისა, ისე საბჭოთა თითეულ მეურნეობისათვის და ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის არა მშრომელთა მიწების სარგებლობისა. ამასთან ერთად თავდება მრეწველ მუშებისა და ტეხნიკურ ძალების კადრთა რუსეთში გადმოყვანაზე შეთანხმება. შესდგა საგანგებო დელეგაცია მიწადმოქმედების სახალხო კომიტეტისა, სასოფლო სამეურნეოსა და შრომის სახალხო კომიტეტის წარმომადგენელთან, რომელიც ეხლა იგზავნება გერმანიაში რუსეთში გამოსაგზავნათ იმ პირთა, რომელნიც შეთანხმების პირობებს ეთანხმებიან. შეთანხმებას საფუძვლათ უდევს ორი პრინციპი: ყველა უნდა ეკუთვნოდეს მშრომელთა ოჯახს და ადგილზე დამკვიდრების შემდეგ ვალდებულია მიიღოს რუსეთის ქვეშევრდომობა.

**სამხედრო ცნობები.**

კიევის რაიონში მტერი გადავდევნეთ და მდ. ირპენს იქით, ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს, დამატებითი ცნობებით კიევში და მის მახლობელ ადგილებში ხელში ჩავიგდეთ უვასალებო 14 ზარბაზანი, 2 ვაგონი ყუმბარა, 1 ვაგონი ტყვიებით. მტერმა დასწვა ჯავშნიანი ავტომობილი, ააფეთქა ყუმბარები და პატრონები. ჩვენი ჯარი მდ. ბუგზე გადმოვიდა და ქალ. ბრაცლავს უახლოვდება.

**ფრანგული ცნობები.**

**ესად-ფაშას მკვლელი.**

კვირას პარიზში ალბანეთის გენერალი ესად-ფაშა ალბანელმა სტუდენტმა მოჰკლა.

**იტალიის სამინისტრო.**

ჯიოლიტი კოალიციური სამინისტროს შედგენას ფიქრობს.

**გერმანიის კაბინეტი.**

გერმანიის სახალხო პარტიის ლიდერმა გეინცემ, რადგან სოციალისტურ-მეუმრავლესეებმა თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს, ამიტომ კაბინეტის შედგენაზე უარი განაცხადა.

**კიევის ევაკუაცია.**

პოლონელები კიევის ევაკუაციას ახდენენ და სრულის წესრიგით უკან იხევენ.

**ზარალის ანაზღაურება.**

1920 წ. 30 მაისამდე გერმანიამ საფრანგეთს მისცა 4,682,042 ტონი ნახშირი (70,500 დაუთმეს ლიუქსენბურგს) 6,547 ცხენი, 40,720 ხარი, 67,476 (დამახინჯებულია) 7,575 თხა.

**ერთა ლიგა და სპარსეთი.**

ორშაბათს ლონდონში შეიკრიბა ერთა ლიგის საბჭო სპარსეთის თხოვნის განსახილველად. ეს მიმართვა, რომელიც ეყრდნობა ხელშეკრულების 11 და 17 მუხლებს ხალხთა ლიგის წევრებს იწვევს ჩაერიონ საქმეში და ბოლო მოუღონ ბალშევიკების შეტევას. „პტი პარიზიენი"ს ინფორმაციის თანახმად დელეგატებს გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ. ხვალ სპარსეთის დელეგატებსა და საფრანგეთის წარმომადგენელ ფლერიოს შორის საუბარი გაიმართება.

**ინგლისი და საფრანგეთი.**

ირწმუნებიან, რომ ერთი კვირის შემდეგ საფრანგეთში მოხდება ლოიდ ჯორჯისა და მილერანის შეხვედრა. ფოლკსტონის თათბირის შემდეგ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობის მეთაურებმა გადასწყვიტეს კიდევ შეხვდენ ერთმანეთს სპის კონფერენციამდე.

**სპას კონფერენცია.**

ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატას აუწყა, რომ სპის კონფერენციის დრო საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, მაგრამ 5 ივნისის თარიღი საფიქრებელიაო. წინასწარი თათბირი ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებს შორის შესდგება 2 ივლისს.

## იტალიის მისიის ცნობები

16 ივნისი

**ვარშავა** თანახმად ოფიციალური ცნობებისა ჩრდილოეთ ბერეზინის ხაზზე სიწყნარეა. ჩერნოვიცის ფრონტზე ბალშევიკების შეტევის მოსაგერიებლად პოლონეთის ჯარები იკრიბება.

**ინგლისის მისიაში.** ინგლისის საინფორმაციო ბიუროს გამგე 15 ივნისს სალამოთი თფილისიდან წავიდა. მის წასვლასთან ერთად ინგლისის საინფორმაციო ბიუროს მუშაობა წყდება. სწყდება აგრეთვე გაზეთ „ჯორჯიან მეილის" გამოცემა.

**ბათომი.** გამოქვეყნდა ინგლისის მთავრობის პირთა ბრძანება, რომელიც ინგლისის ჯარების გემში ჩასხმის შეჩერებას ეხება. ბარონ ვრანგელის წარმომადგენლები, რომელიც წასვლას ფიქრობდენ რჩებიან ბათომში.

დრაცენკოს მოადგილეთ, რომელმაც კორპუსის უფროსობა მიიღო, ვრანგელის წარმომადგენლათ ბათომში გენ. ტომილოვი დაინიშნა.

სევასტოპოლი. ვრანგელის რაზმების შეტევა გრძელდება. საგრძნობ გამარჯვებას ვრანგელის ჯარებმა მიაღწიეს პერეკოპის რაიონში. ოფიციალური ცნობის თანახმად წამოყვანილია 15,000 ტყვე, წამოღებულია 100 ზარბაზანი, დიდ-ძალი ტყვიისმფრქვეველები, ყუმბარები და პატრონები თანახმად ოფიციალური ცნობისა, ბერდინსკი და მარიუპოლი აღებულია. ხმები დადის ტაგანროგის აღების შესახებ.

**პარიჟი.** უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებას ვერსალში ხელს მოაწერენ 16 ივნისს.

---

## ეროვნულ უმცირესობათა უზრუნველყოფა *)

**1) პერსონალური და ეროვნულ-თემური სისტემა.**

ეროვნულ უმცირესობათა საკითხის გარშემო ატეხილმა ცხარე კამათმა გამოარკვია, რომ ამ საკითხში უმთავრესი მისი პრაქტიკული მხარე. პრინციპიალურად სოც.-დემოკრატებს შორის არ შეიძლება ამ საგანზე დიდი დავა გამოიწვიოს: მიზანი, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფო ისახავს ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის დროს, იმართულია ეროვნულ კულტურის თავისუფალ განვითარების უზრუნველყოფისაკენ, დემოკრატიული სახელმწიფო ყოველმხრივ მხარს უჭერს ერის თვითმოქმედებას, რომელიც მიმართულია მის კულტურულ დონის ამაღლებისაკენ. დავა ატეხილია იმის შესახებ, თუ როგორ, რა გზით მიეწყოს ეს უზრუნველყოფა, რა სახე უნდა მიეცეს ეროვნულ ორგანიზაციას, რომ მას მისცეს კაცობრიობის მაქსიმუმი იმ კულტურულ ღირებულებისა, რის შექმნაც მას შეუძლიან. ამ საკითხში შეიძლება სხვადასხვა შეხედულება დაიბადოს სოციალ-დემოკრატების შორისაც.

პერსონალურ, ექსტერიტორიულ ავტონომიის მომხრენი იმ აზრის არიან, რომ პერსონალურ, პიროვნულ სურვილისამებრ შემდგარი ეროვნული კავშირი უნდა აღჭურვილ იქნეს საჯარო უფლებებით, ე. ი. მას უნდა მიენიჭოს ფუნქციები სახელმწიფო ორგანოსი, რომლის განკარგულების ასრულება მის წევრთათვის ისევე სავალდებულოა, როგორც ყოველივე სახელმწიფოს ორგანოს განკარგულება. კულტურულ და განმანათლებელ საქმეში ამნაირ კავშირს უნდა მიენიჭოს ავტონომია, ე. ი. მათ სრულ განკარგულებაში და გამგებლობაში უნდა იყოს გადაცემული სწავლა-განათლების და სხვა კულტურული საქმეები, რომლებსაც ეს კავშირი გაუძღვება კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

ჩვენ ამ შეხედულების წინააღმდეგ წამოვაყენეთ ორი უმთავრესი და ჩვენის აზრით გარდუვალი დაბრკოლება: 1) პერსონალურად, პირად ნებაყოფლობით დაარსებული კავშირი, რომელშიაც თავისუფალია შესვლა-გამოსვლა, შეუძლებელია იყოს საჯარო უფლებით აღჭურვილი, რადგან თავისუფალი გამოსვლა კავშირიდან შეუძლებლათ ხდის მის განკარგულებათა ასრულება წევრთათვის სავალდებულო გახდეს. 2) თავისუფლად, წევრთა პიროვნულ სურვილისამებრ დაარსებულ კავშირს სახელმწიფო ვერ ჩააბარებს ისეთს პირველ ხარისხოვან თავის ფუნქციებს, როგორიც სწავლა-განათლება და მთელი კულტურაა, რადგან ეს კავშირი უფრო ხშირად მხოლოდ სახელით იქნება „ეროვნული", საქმით კი „ეროვნული" შეკავშირება ჩვენში ხდება უფრო სარწმუნოებრივ ნიადაგზე, ვიდრე ეროვნულად; სარწმუნოებრივ კავშირზე დამყარება კი სრულიად მიუღებელია დემოკრატიულ სახელმწიფოსთვის, სადაც ეკლესია უნდა სახელმწიფოსაგან გათიშული იყოს.

ეროვნულ უმცირესობათა უზრუნველსაყოფად ჩვენ წამოვაყენეთ სულ სხვა სისტემა, რომელიც დამყარებულია არა პერსონალურ, პირადულ პრინციპზე, არამედ თვითმმართველ ერთეულებზე. მცირე საერობო ერთეულების შემოფარგვლა ხდება იმ ანგარიშით, რომ თვითეულს მათგანში მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობა ერთფერი იყოს. ამ ეროვნულ (და იმავე დროს ჩვეულებრივ სახელმწიფოს) თვითმმართველ ერთეულებს ნება ეძლევათ ერთმანეთს კავშირით შეეკრან ეროვნულ-კულტურულ საქმეების გასაძლიერებლად და ეროვნულ კულტურის საწარმოებლად ეროვნულ მასშტაბში.

ადვილი მისახვედრია, რა განსხვავებაა ამ ორ სისტემას შორის, პერსონალურ-ავტონომიური ექსტერიტორიული მიმართულება ეროვნულ ორგანიზაციას აგებს უპრინციპოდ, უსისტემოთ, პიროვნების შემთხვევითს სულიერ განწყობილების მიხედვით. ის სისტემა კი, რომელსაც ჩვენ ვიცავთ, ეროვნებას ორგანიზაციულად აწყობს თვითმმართველ ერთეულებში, ეროვნებას აძლევს არა შემთხვევითს, ცვალებად ფიზიონომიას, არამედ გარკვეულ პრინციპზე დამყარებულს ხასიათს. „ეროვნული" კავშირი, რომელსაც სახელმწიფო მიიღებს პერსონალური პრინციპის გატარებით, ვერ იქნება ის, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოს სჭირდება, ვერ იქნება ერთ დედა-ენაზე მოლაპარაკე მოქალაქეთა კავშირი, რომელსაც შეეძლება ეროვნულ კულტურას გაუძღვეს და მის აყვავებას ემსახუროს: სახელმწიფო ვერ გაუწევს ვერავითარ კანტროლს ყოველს მოქალაქეს, რომელიც ამა თუ იმ კავშირში შედის, ვერ გამოარკვევს მის ეროვნულ ვინაობას. სულ სხვა საქმეა თვითმმართველ ერთეულებში შეკავშირებული ერი: ამ ერთეულების გამოჭრას სახელმწიფო ახდენს უმთავრესად **დედა-ენის** მიხედვით. აქ შეცდომას და გაუგებრობას ადგილი ვერ ექნება, რადგან, თუ სახელმწიფომ არ იცის, რა ენაა ამა-თუ-იმ პირის დედა-ენა, მან შეუმცდარათ იცის, რომელია ამა-თუ-იმ საერობო ერთეულის დედა-ენა. პერსონალური პრინციპის გატარება ჩვენში სახელმწიფოს მისცემს „ეროვნულ" ფორმით შეერთებულ სარწმუნოებრივ კავშირს, რომელიც მხოლოდ დასცემს კულტურას, რომელთანაც სახელმწიფოს ბრძოლა მოუხდება და არა კულტურულ მუშაობის ჭაპანის ერთად გაწევა. „პერსონალური" კავშირი პიროვნებათა სტიქიურ განწყობილებაზე, გუნებაზე დაფუძნებული, რომლის დაარსებაში სახელმწიფო თავის ინიციატივას ვერ გამოიჩენს, ადვილათ შეიძლება გადაიქცეს სახელმწიფოსთვის სახათაბალოდ. სულ სხვაა ეროვნული კავშირი, რომელიც სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების — თვითმმართველ ერთეულების— ჩარჩოებში იქნება მოწყობილი, რომელსაც სახელმწიფოს ინიციატივის ბეჭედი აზის და სრულიად თავისუფალი იქნება იმ სტიქიურ ელფერისაგან, რომელიც პერსონალურ კავშირს ახასიათებს. აქ ჩვენ გვაქვს ნამდვილი. და არა ფიქტიური, ეროვნული კავშირი, აშენებული სწორეთ იმ მიზნისათვის, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფო ისახავს ეროვნულ საკითხის დაყენების დროს—კულტურის გაძლიერების და გაღრმავების მიზნისათვის.

ყველა ეს მოსაზრება ჯერ კიდევ ბევრ ხანს იქნება ძალაში. ნუ დაგვაყვედრებენ იმას, ვითომც ჩვენს სიტყვებში ისმის სურვილი სახელმწიფოს მხრით ეროვნებათა „ოპეკისა", ვითომც ეს ნიშნავდეს უნდობლობას ეროვნებათადმი, მათ თვითმოქმედებისადმი და საკუთარ ცხოვრების უნარისადმი. დიახ, ჩვენ მომხრე ვართ ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისა. დემოკრატიული სახელმწიფო სტიქიონს ვერ მიანებებს იმისთანა დიდს და სახალხო საქმეს, როგორიც არის ეროვნული კულტურა. რეგლამენტაცია ამ საქმეში სახელმწიფოს აუცილებლად დასჭირდება. მაგრამ ეს რეგლამენტაცია ბევრათ უფრო ნაკლებ დასჭირდება სახელმწიფოს იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნება მოთავსებულია ჩვეულებრივ ერთეულებში. თვითმმართველობებში, ვიდრე მაშინ. როდესაც იგი პერსონალურად, პიროვნულად, სტიქიურად არის შეერთებული. პირველ შემთხვევაში ეროვნება თავის თავად ეჩვევა სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, რადგან თვითმართველ ერთეულებში მოთავსებულ ეროვნებისათვის „სახელმწიფოებრივი" და „ეროვნული" ერთი და იგივე ცნება ხდება, სახელმწიფოებრივი და ეროვნული არ არის გაყოფილ-გათიშული, მათ შორის არ არის არავითარი წინააღმდეგობა: პერსონალური სისტემა კი ეროვნებას ქმნის ჩვეულებრივ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა ქსელის გარეშე და მაშასადადამე, ხელოვნურად უპირისპირებს სახელმწიფოს და ეროვნებას. და სახელმწიფოს ამისთანა ორგანოების საქმეში ჩარევა და მათი რეგლამენტაცია, მათში სახელმწიფოებრივ მიზნების შეტანა ბევრათ უფრო მეტათ დასჭირდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნების ცხოვრება თვითმმართველობის ჩარჩოებში მიმდინარეობს.

ყველა ეს მოსაზრება მეტადრე დღეს არის ძლიერი. დღევანდელ დაქსაქსულობის და საზოგადოების დანაწილების დროს სახელმწიფოს დიდი ძალის მოკრეფა სჭირდება, რომ სხვადასხვა ერი მეორის მოწინააღმდეგე ნაწილები ერთ მთლიან ორგანიზმათ შეადუღოს. მაშასადამე, დღევანდელ პირობებში სახელმწიფოსთვის კიდევ უფრო საჭირო იქნება რეგლამენტაცია ხალხის ცხოვრების იმისთანა დიდ მხარეებისა, რომლებიც კულტურას,ენას,განათლებას დ სხვას შეეხება, მას არ შეუძლიან ეროვნულ კავშირების შედგენა ალალბედობაზე აავოს და მერე ამისთანა კავშირებს დაავალოს ეროვნულ-კულტურულ საქმეების გაძღოლა. მაგრამ ვისაც სურს, რომ ეს რეგლამენტაცია უფრო ნაკლები იყოს, ვისაც უნდა რომ სახელმწიფოს „ოპეკა" რაც შეიძლება ნაკლებ საგრძნობი გახდეს ეროვნებათათვის, იგი პერსონალურ სისტემას თავს გაანებებს და ეროვნულ თემების შექმნის სისტემას ამჯობინებს.

**2) სწავლა-განათლების საქმე და ეროვნული კავშირები.**

დემოკრატიისათვის ეროვნული საკითხი უპირველეს ყოვლისა კულტურის საკითხია და კულტურის საკითხში კი პირველი ალაგი უჭირავს სწავლა-განათლების საქმეს. როგორ გავლენას იქონიებს ამ დარგზე კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, ე. ი. ეროვნულ კავშირთათვის საჭირო უფლებების მინიჭება?

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა ამ სისტემის თანახმად სულ მთლად დააყირავებს და არევ-დარევს სახალხო განათლების საქმეს. ეროვნულ-კულტურული ავტონომია მოითხოვს იმისთანა სასკოლო სისტემას, რომელიც სრულებით არ შეესაბამება და ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგება მთელი ქვეყნის დემოკრატიის მერ მიღებულ სასკოლო სისტემას.

დემოკრატიული სასკოლო სისტემა მოითხოვს, რომ ხალხის სწავლა-განათლების მთელი საქმე ადგილობრივ თვითმართველობის ხელში იყოს. ასე არის ყველა ქვეყნებში, სადაც სწავლა-განათლება დაწინაურებულია. ამ ქვეყნების გზაზე დგებიან ის ქვეყნებიც, სადაც ეს საქმე უფრო ჩამორჩენილია.

ჩვენში ერობა სულ ახალი საქმეა. მისი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის მოწყობილი ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი დიდი დანიშნულება. ამის გამო სახელმწიფო ნაწილობრივ ჯერ კიდევ ცენტრიდან მართავს სწავლა-განათლების საქმეებს. მიუხედავათ ამისა, თითქმის ყველა ერობებმა უკვე თავის ხელში აიღეს ხალხის ცხოვრების ეს დიდი დარგი. სახალხო სკოლებს უკვე ყველგან თვით ერობები უძღვებიან, სახელმწიფოს ცენტრს კი თანდათან რჩება უმაღლეს ზედამხედველის და მზრუნველის როლი. მომავალში, როდესაც თემი უკეთ ამუშავდება და შეეჩვევა იმ ძირითად სახელმწიფოებრივ მოვალეობის ასრულებას, რომელსაც მას ადებს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი სისტემა, სახალხო სკოლის გაძღოლა დიდ თვითმმართველ ერთეულიდან მის ხელში გადავა.

საერთო სურათი სასკოლო და განმანათლებელ სისტემისა, რომელიც ჩვენ გვესახება მომავალში დემოკრატიულ სახელმწიფოსთვის, დაახლოვებით ასეთია. სახალხო სწავლა-განათლების პირდაპირი გამძღოლი და ხელმძვანელი არის თემი (და ქალაქიც). მის ხელში იქნება სწავლა-განათლების სათანადო ბიუჯეტი; თემის მეთვალყურეობას და განკარგულებას ემორჩილებიან სახალხო სკოლის ხელმძვანელები. თემისვე გამგებლობის ქვეშ იმყოფება სახალხო სკოლის მასწავლებელთა შემადგენლობა. სწავლა-განათლების მეორე სართულის ორ-

*) ეს წერილი დამატებაა იმ წერილებისა, რომლებიც მოთავსებული იყო „ერთობაში" (იხ. №№ 84, 86, 88, 90, 94 და 100) და ჟურნალ „ერობა და ქალაქში" (№ 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები

**აგრარული რეფორმა.** ტფილისში დაბრუნდა განსაკუთრებული კომისია, რომელიც გაგზავნილი იყო გორის მაზრაში მიწად-მოქმედების დაწესებულებათა მოქმედების გამოსარკვევად. კომისიამ რევიზია გაუკეთა გომისა და ქარელის რაიონებს. კომისიამ მიწად-მოქმედების მინისტრს წარუდგინა მოხსენება აგრარულ რეფორმათა ცხოვრებაში გატარებისათვის წარმოებულ მუშაობისა დი მის დასაჩქარებელ ზომების შესახებ. თავის მოხსენებაში კომისია აღნიშნავს, რომ მან უმოქმედობისათვის დაშალა ავლევის საგრარო კომისია. გორის ერობის სამიწო განყოფილებას წინადადება მიეცა სასწრაფოდ შეადგინოს ახალი აგრარული კომისია და ყურადღება ექნეს მიქცეული მაზრაში მყოფ საგრარო კომისიებისა და მიწის მზომელთა მოქმედებაზე. რამდენიმე ადგილას გადააყენეს ტყის მცველები თავის ვალდებულებათადმი გულგრილათ მოპყრობისათვის. ადგილობრივ რაიონულ საერობო თვითმართველობას წინადადება მიეცა სამინისტროში ამ ადგილების დასაჭერად წარმოადგინოს სია იმ კანდიდატების, რომლებიც ხალხის ნდობით სარგებლობენ. რადგანაც კომისიის მუშაობის შედეგები დაკმაყოფილებულია, ამიტომ მიწად-მოქმედების მინისტრი ფიქრობს დრო-გამოშვებით მაზრებში გააგზავნოს კომისიები ადგილობრივ დაწესებულებათა მოქმედების სარევიზიოდ.

**უნცროს მოსამსახურეთა ჯამაგირების გათანასწორება.** 8 ივნისის სხდომაზე მთავრობამ დაამტკიცა შრომის სამინისტროს მოხსენება სახელმწიფო უნცროს მოსამსახურეთა ჯამაგირების გათანასწორების შესახებ, დაწესებულებების გამგეებს უფლება ეძლევათ პროვინციაში დააკმაყოფილონ მოსამსახურენი თანახმათ იმ ნორმისა, რომელიც შემუშავებულია შრომის სამინისტ. მიერ უნცროს მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მისაცემათ თანხა იმ კრედიტებიდან უნდა გამოიტანონ, რომელიც გადადებულია პირად შემადგენლობისათვის შესანახად. თუ კი ეს კრედიტები საკმარისი არ აღმოჩნდება, მაშინ დამატებითი თანხები უნდა გამოთხოვნილი იქნეს ფინანსთა მინისტრის მოხსენებით კანონმდებლობითი წესით.

**ბოროტმოქმედის შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციამ ქ. ქუთაისში შეიპყრო ყოფილი ოფიცერი, სტუდენტი სიმონ კაკულია, რომელსაც ყალბე საბუთებით სურდა რკინის გზის სასურსათო განყოფილებიდან პურის მიღება. დაკითხვის დროს კაკულიამ განაცხადა, რომ გაჭირვებულ მდგომარეობამ აიძულა ასეთი ბოროტ-მოქმედების ჩადენაო.

**აფერისტის შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო კლიმენტი კონდრატის ძე ბოკერია, რომელიც სხვადასხვა მახინაციებით ფულებს სტყუვებდა ხალხს. გამოძიებიდან გამოირკვა, რომ მას ინჟინერ ყაზბეგისათვის მიუყიდნია მატორი „ბელინდერი", გამოურთმევია 100 ათასი მანეთი ბეთ. მატორი კი არ აღმოსჩენია. ასევე დაუტყუვნია 50 ათასი მანეთი ალექსანდრე აგასოვისათვის.

**პროტესტი.** საქართ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ფოთის და მისი რაიონის აფთიაქებში მოსამსახურეთა პროფ. კავშირისაგან მიიღო შემდეგი საპროტესტო წერილი: „კავშირი აცხადებს სასტიკ პროტესტს თფილისის აფთიაქებში ზოგიერთ მოსამსახურეთა წინააღმდეგ, რომლებმაც უარი განაცხადეს ფრონტის დახმარებაზე".

**გორის ფონდი.** რედაქციამ მიიღო ვანის (გურია) უმაღლეს დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა და მოწაფეთა შეწირული 2177 მან.

**„ნაკადული".** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათათვის, აპრილის წიგნაკი, № 7.

**ავლაბრის მუშათა კლუბში** ამავე კლუბის გამგეობა დღეს, 17 ივნისს მართავს გრანდიოზულ საღამოს ლექციით. მონაწილეობენ ცნობილი პოეტები და მწერლები. თარზე დაუკრავს მ. დევაძე, წაკითხულ იქნება სცენები და სახუმარო ლექსები.

**მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა განთავისუფლება გადასახადისაგან.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსდის ცნობა იმის შესახებ, რომ გორის მაზრის ზოგი თემი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ გადასახადს ახდევინებსო. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეატყობინა გორის ერობას, რომ 24 თებ. დეკრეტის ძალით შეჩერებულია როგორც ძველი, ისე ახალი გადასახადების შეკრება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთაგან.

### კრებები.

დღეს, საღ. სრულ 6 ს. დანიშნულია მე-4 რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება მე-2 რაიონის კოლექტივის კრება კოლექტივის ბინაზე,

— პარასკევს, 18 ივნისს დანიშნულია ს. ს. დ. მ. პარტიის ჩუღურეთის მცირე კოლექტივის საზოგადო კრება.

— ხუთშაბათს, 17 ივნისს ქალთა 1 გიმნაზიაში საღ. 7 ს. დანიშნულია აღმ. საქ. საშუალო სკოლების მასწავლებელთა საერთო კრება.

# სატარიფო პალატის ცირკულარი

(ყველა დამქირავებლებს და მათ ორგანიზაციებს, საერობო და ქალაქთა თვითმართველობებს, მუშათა კავშირებს, შრომის სამინისტროს კომისრებს და რწმუნებულებს).

სატარიფო პალატამ თავის სხდომაზე 12 ივნისს, 1920 წელს დაადგინა:—დაევალოს ყველა დამქირავებლებს დაუყონებლივ მისცენ მათ ყველა მუშებს და მოსამსახურეებს ერთი თვის ჯამაგირის ოდენი ერთდროული დახმარება, მაგრამ არა უმეტეს 3000 მან. ყოველივეს, იმნაირათ, რომ აღნიშნულ დახმარებიდან არ იქნება არავითარი გამოკლებული.

ეს განკარგულება უკვე ეცნობა დამქირავებლებს სისრულეში მოსაყვანად.

თავმჯდომარე სატარიფო პალატისა— **ი. გოლდმანი.** მდივანი— **ტრეიმანი.**

# საქართვ.-რუსეთის ხელშეკრულება და სომხეთის პრეტენზიები

საქართველო-რუსეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულობის გამო სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოსკოვში სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარეს შანტს და საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს შემდეგი რადიო-ტელეგრამა გაუგზავნა: „გაეცნო რა ხელშეკრულებას, რომელიც დადგენილ იქნა 7 მაისს ამა წლისა რუსეთსა და საქართველოს შორის, სომხეთის მთავრობამ ღრმა გაკვირვების გრძნობით გაიგო, რომ ხსენებულ ხელშეკრულების თანახმად რუსეთი ვალდებულია იცნოს თფილისის გუბერნია და ბათუმის ოლქი, ყველა მაზრებით და რაიონებით, საქართველოს სახელმწიფოს უდავო ნაწილებათ. წარსული წლის 9 იანვრის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დადებული იქნა სომხეთსა და საქართველოს შორის, თფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის ნაწილი, საქართველოსა და სომხეთს შორის მდებარე, ცნობილია ორივე რესპუბლიკების მიერ ნეიტრალურათ ურთიერთ შორის საზღვრების შესახებ დავის საბოლოო გადაჭრამდე. იმავე ხელშეკრულების თანახმად, თფილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრათ აგრეთვე ცნობილია სადავოთ. ბათუმის ოლქში სომხეთი თხოულობს თავის დაკმაყოფილებას ჰოროხის რაიონით, რაც მისცემს მას საშუალებას მიიღოს ყარს-პორტ ბათუმის რკინისგზის აშენებით, მისთვის სასიცოცხლო აუცილებელი ეკონომიური გასავალი ზღვისაკენ. საქართველოსა და სომხეთს შორის ამა წლის 14 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად, ორივე რესპუბლიკები ვალდებულნი არიან ყოველივე არსებული და აგრეთვე მომავალში შესაძლებელი დავაც ურთი-ერთს შორის გადასწყვიტონ შეთანხმების გზით, და თუ ასეთი მიხწეული ვერ იქნება, მაშინ სავალდებულო არბიტრაჟის საშუალებით.

ზემოთ თქმულის გამო გთხოვთ თქვენ სომხეთის მთავრობის სახელით შეატყობინოთ რუსეთის მთავრობას, რომ ზემოხსენებულ ხელშეკრულებას, რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულს, იმ ნაწილში, რომელიც ეხება თბილისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქს, სომხეთის მთავრობა სთვლის თავისთვის არასავალდებულოთ. ყარაბაღისა და აზერბეიჯანის საზღვრების საკითხში მთავრობა რჩება ძველ შეხედულებაზე, ემყარება რა 1917 წლის პირველ ნახევარში პეტერბურგში მოწვეულ ამიერკავკასიის საზღვრების გამომრკვევ სხვა და სხვა ეროვნების კომისიის აზრს. („სლ.").

# ფრონტისათვის

დღეს, დარიალის ხეობაში მდგომ მეომართათვის ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი გზავნის საჩუქრების ტრანსპორტს, ხოლო 20 ივნისს წნორისწყლის მიმართულებით იგზავნება დიდი ტრანსპორტი საჩუქრებისა იქ მყოფ ჯარებისათვის, რომელსაც გზავნის: მთავარი კომიტეტი, თფილისის პროლეტარიატი და ვაჭრობა-მრეწველობის პალატა.

მთავარი კომიტეტის დავალებით ქუთაისის განყოფილებამ საჩუქრები გაუგზავნა მეომართ გაგრისა და მამისონის მიმართულებით.

მთავარმა კომიტეტმა მიიწვია კომიტეტის წევრებათ თითო წარმომადგენელი პროფესიონალურ კავშირებიდან, ვაჭარ-მრეწველთა პალატიდან, გვარდიის მთავარ შტაბიდან, ჯარისაგან და დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიიდან.

მთავარი კომიტეტის სრული შემადგენლობის სხდომა დანიშნულია კვირას, 20 ივნისს, დილის 11 საათზე, სასახლეში, ფრიად მნიშვნელოვან საკითხების გადასაწყვეტათ.

ახალციხის მიმართულებით საჩუქრების დასარიგებლათ წასული კომისია დაბრუნდა, რომელმაც შესრულა, მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა, თავისი დანიშნულება.

მთავარ კომიტეტს პროვინციებიდან მოსდის შემოწირულებები ფულითა და ნივთებით.

# კოოპერაცია დემოკრატიულ სახელმწიფოში

დიდმა გარდამავალმა ხანამ და ისტორიამ სოციალისტურ დემოკრატიას ყველა პოლიტიკური საკითხების გადაჭრასთან ერთად ყველა ეკონომიური კითხვების შეგნებულათ და მიზან-შეწონილათ მოწყობაც დააკისრა.

მუშათა კლასი ეკონომიურ ნიადაგზე უმთავრესათ ორი მძლავრი იარაღით იბრძოდა და იბრძვის: პროფესიონალური კავშირებით და კოოპერაციით. აშკარაა, რომ პოლიტიკურათ გაბატონებულმა სოციალისტურმა დემოკრატიამ დღესაც ამ ორი უმთავრესი იარაღით უნდა განაგრძოს ბრძოლა.

ძველათ, მეფის თვითმპყრობელობის დროს მუშათა პოლიტიკურ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ მოძრაობათა შორის არ იყო დაცული კავშირი და კონტაქტი, ეს სამივე მოძრაობა ერთი მეორესაგან განცალკევებული, გათიშული იყო.

დღეს კი დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშათა კლასისათვის საჭირო შეიქმნა, რომ მან თავის სოციალისტურ ბრძოლას მჭიდროთ დაუკავშიროს პროფესიონალური და კოოპერატიული მოძრაობა. მათი ასეთი შეთანხმებული კავშირი და კონტაქტი საჭიროა მუშათა კლასის განთავისუფლებლათ.

მაგრამ ეს კავშირი და კონტაქტი მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობაში არ ნიშნავს ცალ-ცალკე მათი დამოუკიდებლობის მოსპობას. სოციალისტური დემოკრატიის ვალია გააძლიეროს და დაეხმაროს როგორც პროფესიონალურ, ისე კოოპერატიულ ორგანიზაციებს; მაგრამ ის არ უნდა ჩაერიოს აქტიურათ მათ შინაურ საქმეებში და მით არ მოუსპოს მათ დამოუკიდებლობა.

კოოპერაცია არსებითად დამოუკიდებელი, თვითმმართველი სამეურნეო ორგანიზაციაა და მისი ნაყოფიერი ზრდა-განვითარება მხოლოთ მისი დამოუკიდებლობის დაცვით შეიძლება.

აქედან აშკარაა, რომ სახელმწიფოსაგან, ერობისაგან, რომელიმე მმართველ და თვითმმართველ ორგანიზაციისაგან კოოპერატივების დამორჩილება, მათი თავის მართვა-გამგეობის ქვეშ დაყენება მიუტევებელ შეცდომათ უნდა იქნას მიჩნეული. ასეთ პირობებში კოოპერაცია დაჰკარგავს თავის სახეს, ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას და იმ მნიშვნელობას, რომელიც მას აქვს დემოკრატიულ წეს-წყობილებაში.

მნიშვნელობა კი კოოპერაციას მეტათ დიდი აქვს ამ ჟამათ და ის უფრო თვალსაჩინოთ გაიზრდება ახლო მომავალში.

დამღუპავ სპეკულიაციასთან საბრძოლველათ კოოპერაცია წარმოადგენს ერთ მთავარს და მძლავრს იარაღთაგანს; მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის პირდაპირი მტკიცე კავშირის შეკვრით, მათი ერთი მეორესთან დაახლოვებით, მომხმარებელი კოოპერაცია თავიდან იშორებს იმ შუამავალ სპეკულიანტებს, რომლებიც საქონელს ერთი მეორის ხელიდან ხელში გაათკეცებული ფასებით აძლევენ და მით უზომოთ აძვირებენ.

ასეთი კოოპერატივების გამაგრება და გამტკიცება საშუალებას მისცემს მუშებს, როგორც მომხმარებლებს უშუამავლოთ, სპეკულიანტების გარეშე პირდაპირი კავშირი დაიჭირონ მწარმოებლებთან და პირველი ხელიდანვე უფრო იაფ ფასებში შეიძინონ უფრო საუკეთესო საქონელი- ეს კი თანდათან მოსპობს და შეამცირებს, როგორც სპეკულიანტების რაოდენობას ისე მათ თავ-აშვებულობას და უსაზღვრო მადას ილათ გამდიდრებისას.

ასეთი კოოპერატივებით მოუვნა ჩვენი რესპუბლიკისა შესამჩნევათ გაანელებს თვით ეკონომიურ კრიზისსაც. კოოპერაცია ერთ მხრივ გააძლიერებს მწარმოებლებს და საზოგადოთ ხელს შეუწყობს საწარმოო ძალების ნორმალურ განვითარებას მუდმივი ხელსაყრელი ბაზარის შექმნით; ხოლო მეორე მხრივ სპეკულიაციის ალაგმვით ის გაანელებს სიძვირეს და გააზომიერებს ფასებს.

მუშათა მომხმარებელი კოოპერაცია შედარებით დაგვიხსნის ფინანსიურ კრიზისიდანაც. ის ერთ მხრივ მოსპობს ფასების თამაშს ბაზარზე, მოსპობს სიძვირის ხელოვნურად ზრდას და ამით საზღვარს დაუდებს ქაღალდის ფულის უზომოთ ჭრას და გამოშვებას ბაზარზე; მეორე მხრივ ხელს შეუწყობს ჩვენი ფულის კურსის დაცემის შეჩერებას, მის გამაგრება-განმტკიცებას.

მუშათა მომხმარებელი კოოპერატივების ასეთ დიდ მნიშვნელობას ერთიორათ და სამათ გაზრდის მათ მიერ საკუთარი წარმოების დაარსება, მათი ზრდა-განვითარება.

სახალხო მეურნეობის ორი უმთავრესი მხარის წარმოების და ნაწარმოების განაწილების კოოპერატიულათ მოწყობა თვით ჩვენ სახალხო მეურნეობას მტკიცე ნიადაგზე დაამყარებაა. ის ააყვავებს, როგორც საწარმოვო, ისე სხვა სამეურნეო ძალებს და განავითარებს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას. ის გაზრდის და გაამრავლებს სახალხო სიმდიდრეს და ამ გზით თანდათანობით მოსპობს იმ ეკონომიურ-ფინანსიურ კრიზისს, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას შიგნიდან უმზადებს განსაცდელს.

აქედან ცხადია, რომ სოციალისტური დემოკრატია ყველა თავისი მმართველი და თვითმმართველი ორგანიზაციებით, როგორც თვით სახელმწიფო. ისე ერობა, პროფესიონალური კავშირები და სხვა ყველანაირათ უნდა დაეხმარნენ მუშათა კოოპერაციის ზრდა-განვითარებას.

სოციალისტური დემოკრატიის კოოპერატიული პოლიტიკა ყველანაირათ, კრედიტით, გასანაწილებელი საქონლით და სხვა საშუალებებით უნდა ეხმარებოდეს მუშათა კოოპერატივის გაძლიერებას, პროლეტარიატის ქონებრივ და გონებრივ გაუმჯობესობას და ამ გზით მისი ეკონომიურათაც განთავისუფლებას და სოციალიზმისათვის ნიადაგის მომზადებას.

**ი. ირემაშვილი.**

# ნეკროლოგი.

**გმირთა ხსოვნას.**

მართლაც, რომ გასაოცარია ის შეურყეველი, გოლიათური ნების ყოფა და სიმტკიცე, რომელიც ჩვენმა დემოკრატიამ გამოიჩინა.

ორი წლის განმავლობაში ის თავდადებით იცავს თავისუფალ სამშობლოს და მრავალი გმირი სდებს თავს მის საკურთხეველზედ.

ასეთი გმირნი არიან სახელოვან გვარდიის ცხენოსან პოლკის გვარდიელები სპირ. მაჭავარიანი, ნიკო კორინთელი, რეზო მაყაშვილი და ლევ. კირაკოზაშვილი, რომელნიც 4 მაისს დაეცნენ თათრებთან ბრძოლაში.

ესენი იყვნენ პირველი მსხვერპლნი ვერაგულათ თავდამსხმელ მტრის, ვითომდა „გაწითლებულ" ადერბეიჯანისა.

მათ არ უღალატეს თავის აღთქმას, თავის ფიცს და შესწირეს თავიანთი ნორჩი სიცოცხლე თავისუფალ საქართველოს, ამ რევოლიუციის და თავისუფლების ჯეჯილს.

არის ხოლმე ისეთი მოვლენა, როდესაც თვით სიკვდილი, ეს საშინელების ტრაგედია იმოსება მშვენიერების სხივებით და თვით კუბო, ეს სიმბოლო გლოვისა და სიმწუხარისა, რაღაც სანატრელი და მომხიბლავი ხდება.

ეს მხოლოდ გმირთა ხვედრია, ეს მხოლოდ თავდადებულთა საკუთრებაა...

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი სიკვდილიც ასეთი მშვენიერებით არის მოსილი და თქვენი კუბოც ასეთი მხიბლავი შუქით არის გარემოცული. თქვენ აღბეჭდეთ თქვენი გზა, თქვენ სთქვით თქვენი პატიოსანი სიტყვა.

და ამ გზას და ამ სიტყვას არ დაივიწყებს ჩვენი ისტორია და სამარადისოთ აღიბეჭდავს თავის ფურცელზედ.

თქვენმა ამხანაგებმა უკვე მიუზღეს სამაგიერო მტერს და თავზარი დასცეს მას. ის უკვე შედრკა, მოიდრიკა, ჩვენი დემოკრატიის ნების ყოფის წინაშე და ხელი აიღო თავის შავ განზრახვაზედ.

თქვენმა თავგანწირვამ ტყვილა არ ჩაიარა და საქართველოს თავისუფლების მზე უფრო კაშკაშებს, ეხლა უფრო ნათლად ბრწყინავს მისი ბედის ვარსკვლავი...

განისვენეთ მშვიდათ მშობელი ქვეყნის გმირნო...

„Пѣвцы умираютъ,
Но пѣсни живуть!"

**გრ. კუნჭულია.**

# დამფუძნებელი კრება

15 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ექ. თაყაიშვილი.**

**გრ. შარაშიძის** მოხსენებით უკამათოდ მიღებულ იქნა საბოლოვო ტექსტები დეკრეტებისა: გასატან საქონელზე დროებით ბაჟის შემოღების შესახებ და სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის ახალ ბინაზე გადატანისა და ამ ბინის გადაკეთებისათვის 5 მილ: 80 ათას სამას ორმოცდა თოთხმეტი მან. და 27 კაპ. გადადების შესახებ. **დეკრეტი თავდაცვის ფონდისათვის 400 მილ. მან. გადიდების შესახებ.**

**ნ. იმნაიშვილი** მოახსენებს დამფუძნებელ კრებას, რომ ის სამასი მილიონი, რომელიც გადადებულ იქნა თავდაცვის ფონდისათვის ამოწურულია და საჭიროა დაუყონებლივ იქნას გაღებული 400 მილ. მანეთი. წარმოდგენილი დეკრეტი მოწონებულია როგორც სამხედრო, აგრეთვე საფინანსო კომისიების მიერ, სახელმწიფო კანტროლის დასტურიც არისო. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ იმ დახარჯულ 100 მილ. მანეთის ანგარიშების ნუსხა წარმოდგენილია დამფუძნებელ კრებაშიო.

**შ. ქარუმიძე** აღნიშნავს, რომ ის მართალია, მომხრეა წარმოდგენილ დეკრეტისა, მაგრამ საჭიროთ მიგვაჩნია მივაქციოთ ყურადღება ზოგიერთ დეფექტებს, რომ მომავალში აცდენილ იქნას იგი. ორატორს არ მიაჩნია მიზან-შეწონილად წარა-მარა მობილიზაციების მოხდენა. ეს აუარებელ ხარჯებს იწვევს. საჭიროა ჯარის მუდმივათ მეტი რიცხვის ყოლა რომ საჭიროებისამებრ არ დაგვჭირდეს ხალხის გაწვევა. ჯარის რეორგანიზაციის გატარების დროს ამისათვის უნდა მიექციათ ყურადღება.

ორატორს დაუშვებლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ ტეხნიკურ საქმეს რომელიც ჯარის განსაკუთრებულ ნაწილების საქმეა, ასრულებს სულ სხვა უწყება. ეხება ორატორი კონტრ-დაზვერვას და აღნიშნავს, რომ ის მაინც და მაინც არ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ეხება აგრეთვე ცხენოსანთა ჯარის სიმცირეს სანაპირო რაზმებს, რომლებიც, ორატორის აზრით, თავის პირდაპირ დანიშნულებას არ ასრულებენ საჭიროა აგრეთვე კანტროლი თვალყურის უგდებდეს, როგორ იხარჯება გადადებული ფულებიო.

**ნ. რამიშვილი** უპასუხებს შ. ქარუმიძეს და უმტკიცებს, რომ საკმარისი ჯარი გვყავს მშვიდობიანობის დროისათვის, მუდმივათ იმდენი ჯარის შენახვა, რომ ყველა ფრონტებს გასწვდეს, შეუძლებელია. იმპერიალისტურ მილიტარისტებმაც ვერ შექნეს ეს, და საზღვრების დაცვა ყოველთვის შეიარაღებულ ხალხს უხდება. ჯარების რეორგანიზაციამ, რომელიც უკვე გატარდა ცხოვრებაში, დიდი ხანია კარგს შედეგს მიაღწია, ამ რეორგანიზაციით დაცულ იქნა ერის ენერგია და თანხა. აქ შეეხნენ ჯარის ნაწილების ტეხნიკურ მხარეს, ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ რად დაეკისრა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას ისეთი საქმის შესრულება, რომელიც ჯარის ნაწილებს უნდა გაეკეთებინათ. ყველგან, როდესაც გარეშე ძალა საფრთხეს უმზადებს ქვეყანას, მაშინ ყველა უწყებები ვალდებული არიან დაემორჩილონ თავდაცვითი საბჭოს. ასე იყო და არის ყველა სახელმწიფოებში. აქ იბადება კითხვა: მიზან-შეწონილია თუ არა ასეთი მოვალეობის დაკისრება ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისადმი. ამ დაწესებულებას ჰყავს განსაკუთრებული შტატი, და ვინაიდან საქმე საჩქარო იყო, დაევალა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას სამხედრო საჭიროებისათვის ხაზის გაყვანა. მან ეს საჩქაროდ და ჩინებულად შესრულა და ეს საკითხი სრულიადაც არ არის დაკავშირებული არც სამხედრო ვადასთან და არც ჯარის რიცხვთან. თქვენი წინადადება, რომ

---

განოები დაარსებულია სამაზრო ერობასთან. იგი თემს მეთვალყურეობას უწევს, იმის მუშაობას აძლიერებს და უძღვება სწავლა-განათლების იმ საქმეებს, რომლებიც—აღემატებიან ცალკე თემების ძალას: ხსნის და განაგებს საშუალო და სხვა სასწავლებლებს, სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის ხსნის სამასწავლებლო სემინარიებს, კურსებს, და სხვადასხვა. რაც შეეხება რესპუბლიკის ცენტრს, იგი არის უმაღლესი მეთვალყურე და მასთან ერთად მზრუნველი ამ სიტყვის ნამდვილ და კარგ მნიშვნელობით. იგი ზრუნავს იმაზე, რომ არსებული სკოლები მაღალ დონეზე ასწიოს, გამონახოს ახალი პედაგოგიური გზები, სისტემები, ხსნის სამაგალითო სკოლებს, აწყობს სასკოლო გამომცემლობას, აარსებს საპედაგოგიო მუზეუმებს, ამზადებს სასკოლო ხელსაწყოებს, მის ხელშია აგრეთვე ყველა ის საქმეები რომელიც მთელს სახელმწიფოს სწვდება; მის ხელშია უმაღლესი სასწავლებლები: უნივერსიტეტი, საპედაგოგიო ინსტიტუტი, სადაც საშუალო სკოლის მასწავლებლები მზადდებიან.

რაც შეეხება სწავლა-განათლების საერთო სისტემას, პროგრამების შედგენას და სხვა, მომავალში სახელმწიფოს ცენტრს ამ საქმეებში აღარ დასჭირდება ისეთი ფართო რეგლამენტაცია, როგორიც ხდება დღეს; სანამ ერობა არ მომაგრებულა. მომავალში ცენტრი მისცემს მხოლოდ საერთო დირექტივებს სწავლა-განათლების საქმეში პროგრამების მხოლოდ საერთო მოხაზულობას. მაგალითად, ცენტრი სცემს კანონს, რომ სწავლა-განათლება იყოს საერო, ე. ი. რომ სასწავლო საგანთა სიაში არ იყოს შეტანილი არც ერთ სარწმუნოების სწავლება. ცენტრიდანვე გამოდის კანონი, რომ სწავლა-განათლება რესპუბლიკაში კლასიციზმზე არ უნდა იყოს დამყარებული. ცენტრივე ჩამოსთვლის საგანთა იმ მინიმუმს, რაც უნდა ისწავლებოდეს ამა თუ იმ საფეხურის სკოლაში. ცენტრი აწესებს სკოლის ტიპებს და საფეხურებს. რაც შეეხება სწავლების შინაარს, დაწვრილებითი პროგრამას და მის განხორციელებას, სასწავლო მეთოდებს—აქ დიდი სარბიელი ეძლევათ როგორც თვითმართველ ორგანოებს, ისე პედაგოგიურ კოლლეგიებს, მშობელთა წრეებს და აგრეთვე თითოულ მასწავლებელს. სახელმწიფო ფართო უფლებებს მიანიჭებს ყველა ამ ორგანოებს, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ინიციატივას სწავლა-განათლების საქმეში დემოკრატიული სახელმწიფო დიდის პატივისცემით მოეპყრობა ყოველნაირ შემოქმედებას და ახალს ძიებას პედაგოგიაში და არავის გზას არ შეუზღუდავს. მომავალი სახელმწიფო მხოლოდ უმაღლეს მეთვალყურის და მზრუნველის როლით დაკმაყოფილდება.

ამნაირათ გვეხატება ჩვენ ის მწყობრი სისტემა სწავლა-განათლებისა, რომელიც უნდა განახორციელოს დემოკრატიულმა სახელმწიფომ, როდესაც ჩვენი თვითმართველობა სრულიად მომაგრდება და თავის მოვალეობის ასრულებას შესძლებს. ასეთი სისტემა ბოლომდის და წმინდათ არსად არის გატარებული, მაგრამ ზოგიერთ სახელმწიფოებში, სადაც სწავლა-განათლების საქმე საუკეთესოდ არის მოწყობილი, ამ სისტემას მიუახლოვდნენ. ის მაინც უდავოა, რომ სწავლა-განათლების მახლობელი და უშუამავლო გამგებელი ყველა დემოკრატიულ ქვეყნებში არის ადგილობრივი თვითმართველობა.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ანგრევს მთელს ამ სისტემას. უპირველეს ყოვლისა ის არის **ავტონომია,** ე. ი. საკუთარი კანონ-მდებლობა კულტურულ-განმანათლებელ საქმეში. სახალხო განათლების საქმეებში ეროვნული კავშირი სრული ბატონ-პატრონი ხდება. მის ხელში გადადის სკოლის მთელი გამგებლობა, სასკოლო საქმეში მას ენიჭება ბევრათ უფრო ფართო უფლებები, ვიდრე დღეს აქვს და მომავალშიაც მიენიჭება თვითმართველობის ორგანოებს. არა-ქართულ სკოლების საქმეებში თვითმართველ ორგანოებს არავითარი უფლებები აღარ რჩებათ. როგორც ჩვეულებრივი თემი სწავლა-განათლების საქმეში ემორჩილება სამაზრო ერობას და სახელმწიფოს ცენტრს, ისე ეროვნული თემები ამ საქმეში დაემორჩილებიან სათანადო ეროვნულ ცენტრს.

მაშასადამე ამ სისტემის აზრით ამათუიმ ეროვნების სწავლა-განათლების საქმე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა კულტურულ დონეზე დგას მისი სათანადო ეროვნულ კავშირის ცენტრი. კიდევ კარგი, თუ ეროვნება მაღალ კულტურულ დონეზე დგას: მაგრამ რა მოხდება, თუ ეს დონე ბევრათ უფრო დაბალია, ვიდრე საზოგადოთ სახელმწიფოს დონე? სწავლა-განათლების და საერთოდ კულტურის საქმე ამ შემთხვევაში ძლიერ შეფერხდება.

ეს სისტემა წარმოშობს კონფლიქტებს თემებსა და ეროვნულ კავშირს შორის: ვთქვათ რომელიმე ეროვნული თემი კულტურულად ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე მთელი ეროვნული კავშირი. ამ თემს უნდა თავისი სკოლები მოაწყოს ახალ სისტემაზე, მაგრამ ჩამორჩენილი ეროვნული კავშირი დრაკონისებურს განკარგულებას სცემს და თემს გასაქანს არ აძლევს. როგორ უნდა მოიქცეს თემი? იგი ვალდებულია დაემორჩილოს აშკარად ჩამორჩენილს განკარგულებას — კულტურულ ავტონომიის ძალით სახელმწიფომ უნდა გულგრილად უცქიროს ამნაირს კულტურულ დაქვეითებას.

მაგრამ ყველაზე უარესი ამ სისტემაში ის არის, რომ იგი მოითხოვს ახალ დაწესებულებათა და ორგანოთა მთელს რიგს: თვითმართველობათა სწავლა-განათლების ორგანოთა გვერდით უნდა დაარსდეს ახალი ორგანოები—ეროვნულ კავშირის მიერ დაწესებული. ამ ორგანოების შენახვას და საერთოდ კულტურულ საქმეების გაძღოლას სჭირდება თავისი **ბიუჯეტი** და ყველა ის ორგანოები, რომლებიც საჭიროა ამ ბიუჯეტისათვის, ეროვნულ კავშირს ამ სისტემის ძალით უნდა მიენიჭოს სავალდებულო **თვითდაბეგვრა,** რაც მოითხოვს ახალს ორგანოებს, რომლებსაც დაევალებათ ამ რთულ საქმის განხორციელება.

სახელმწიფო ორგანოებთან არსებული ყველა ეს პარალელი-ორგანოები ისე ასწეწ-დასწეწენ საქმეს, ისეთს არევ-დარევას შექმნიან, რომ სახელმწიფო ძნელად თუ გაუძლებს ამას.

მაგრამ მოითხოვს კი საჭიროება ამ საშინელ რთულ და ჯერ არსად ნაცად სისტემის შემოღებას? ჩვენ გვგონია, რომ სრულებითაც არ მოითხოვს, რომ თვით ეროვნულ უმცირესობათ კულტურული საქმეების გაძღოლა ბევრათ უკეთ წავა იმ ეროვნულ-თემურ სისტემის წყალობით, რომელსაც ჩვენ ვიცავთ.

კულტურა და, კერძოთ, სწავლა-განათლების საქმე ეს ერთად ერთი დარგია, სადაც არავისი შრომა და მეცადინეობა არ არის ზედმეტი. რაც უფრო მეტია რიცხვი იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც სკოლის საქმეებზე მუშაობენ, მით უფრო ძლიერდება და მაღალ საფეხურზე ადის სკოლა. სახელმწიფოს გვერდით ეროვნულ კავშირებსაც სრულიად თავისუფლად შეუძლიანთ ილვაწონ. „შვიდი გადია" სკოლას არას ავნებს, ოღონდ კი მის გამგებლობაში ნუ ჩაერევა შვიდივე.

სახელმწიფოს და ეროვნების როლები კულტურულ საქმეებში სრულიად ადვილი გასანაწილებელია. სახელმწიფომ მოაწყო ეროვნული თვითმმართველი ერთეულები. ამ ერთეულებს სწავლა-განათლების საქმეში, რასაკვირველია, ისეთივე ფართო უფლებები მიენიჭება, როგორც ქართველებით დასახლებულ ერთეულებს. ეროვნულად ერთნაირი თვითმმართველი ერთეულები ერთმანეთს უკავშირდებიან კულტურულ საქმეების საერთო ძალით ვასაძღოლად. ის იდეური ნაყოფი, რომელსაც წარმოშობს ასეთი თვითმმართველობის საშუალებით გაერთიანებული ერი, დაუბრუნდება თითოულს ერთეულს, რომელიც თავის სკოლებს გაამდიდრებს იმით. ამნაირად შეკავშირებული ერი აღჭურვილი იქნება ყოველ კავშირის უფლებებით, მაშასადამე, მას შეეძლება თავისუფალი თვით დაბეგვრაც შემოიღოს. ეს თვითდაბეგვრა იქნება, რასაკვირველია არა-იძულებითი, ნებაყოფლობით აკრეფილ თანხებით ეროვნული კავშირი გააძლიერებს და წინ წასწევს სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ სასკოლო საქმეს, გახსნის ახალ სისტემის სკოლებს, რომლებიც სახელმწიფოს ჯერ არ უცდია, ამ მხრივ კულტურულად დაწინაურებული ეროვნული კავშირის მოღვაწეობა თვით სახელმწიფოსთვის გახდება მისაბაძი და სახელმძღვანელო.

საჭიროა კიდევ ერთი გარემოება აღინიშნოს: ჩვენი სისტემით ეროვნული კავშირი საჯარო უფლებებით არ უნდა იყოს აღჭურვილი, ე. ი. სახელმწიფოსთვის **სავალდებულო** არ უნდა იყოს მისი გადაქცევა სახელმწიფო დაწესებულებათ, სახელმწიფო **მოვალე** არ უნდა გახდეს კულტურულ-განმანათლებელი ფუნქციები მთლად მის ხელში ჩააგდოს, კანონი სახელმწიფოსთვის სავალდებულოთ არ ხდის მის სრულს განკარგულებაში გადასცეს მთელი ის თანხა, რაც ამ ერის კულტურულ საქმეებზე უნდა დაიხარჯოს სამართლიანობის მიხედვით. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო **ფაქტიურად** არ ისარგებლებს ეროვნულ კავშირის მიერ შექმნილ აპარატით, რომ იგი არ გამოიყენებს იმ კულტურულ მუშაობას, რომელსაც ეროვნული კავშირი ეწევა. სრულიადაც საჭირო არ არის ეროვნული ორგანიზაცია, უთუოდ საჭირო უფლებებით იყოს აღჭურვილი იმისთვის, რომ სახელმწიფომ მასთან მუდმივი კავშირი დაიჭიროს და ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს მის კულტურულ მუშაობას. სახელმწიფოს არც ის აეკრძალება, რომ ეროვნულ კავშირის განკარგულებაში გადასცე დამატებითი თანხები იმ მუშაობის გასაძლიერებლად, რომელიც მიმართულია ერის კულტურის გაძლიერებისაკენ. განა სახელმწიფოს შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს იმისთანა სრულიად კერძო დაწესებულებას, როგორიც არის ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება? მაშ რატომ არ შეუძლიან მას ასეთივე ხარჯები გასწიოს, მაგ., სომეხთა ან რუსთა კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად? ოღონდ კი ერთი პირობა უნდა იყოს შესრულებული: ეროვნულ კავშირის მუშაობა უნდა კულტურის წინ წაწევაზე იყოს მიმართული და არა დაქვეითებაზე.

წინ წამწევია თუ დამაქვეითებელი ამა თუ იმ ეროვნების მუშაობა, ამის დამფასებელი ისევ დემოკრატიული სახელმწიფო უნდა იყოს, და სხვა ვერავინ იქნება. მაშასადამე მთელი დავა კულტურულ ავტონომისტებსა და ჩვენს შორის ასე შეგვიძლიან გამოვხატოთ:

კულტურული ავტონომისტები წინდაწინვე ხელ-ფეხს უბორკავენ დემოკრატიულ სახელმწიფოს და კონსტიტუციურ წესით ავალებენ მას ეროვნულ კავშირს გადასცეს კულტურული საქმეები და ის თანხები, რომლებიც ამ ეროვნებებს ერგება მის რიცხვის მიხედვით; სახელმწიფო აქ არ შედის იმის გარჩევაში, თუ რას წარმოადგენს ეს ეროვნული კავშირი, შეძლებს თუ არა იგი იმ მძიმე საქმის გაძღოლას, რომელსაც კულტურული წინსვლა მოითხოვს, თუ მისი მუშაობა ერის კულტურის დამაქვეითებელი იქნება. ჩვენი სისტემით კი დემოკრატიულ სახელმწიფოს ხელი აქვს გაშლილი, კონსტიტუტიით იგი არ არის შებორკილი, მას უფლება აქვს ეროვნულ კავშირს ფართო ფუნქციები ჩააბაროს და მაზედ დიდი ხარჯები გასწიოს, თუ კი იგი დარწმუნდება, რომ ეროვნული კავშირი შესძლებს ერის კულტურულად დაწინაურებას და მისი მუშაობა, პირიქით, კულტურულად არ დააქვეითებს ერს.

**ლ. ნათაძე.**

მიგველო და მეტი ჯარი გვყოლოდა მუდმივათ, სულ ერთია მობილიზაციები მაინც დაგვჭირდებოდა. ქარუმიძის მტკიცება, რომ სახელდახელოთ მოხდენილი მობილიზაცია მეტ ენერგიას და თანხას მოითხოვს, არ არის სიმართლე. ჩვენ სახელმწიფოს თავდაცვითი ინტერესებს უკავშირებთ, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მეურნეობასაც. და როგორ გგონიათ, საუკეთესო ნაწილი მუშაკებისა მუდმივათ რომ ყაზარმებში ამყოფოთ, ამით ჩვენი მეურნეობა განადგურდება თუ არა? ეს კარგად უნდა იცოდნენ ყველამ, ვინც მარტო მილიტარისტული სულით არ არის გაჟღენთილი. ყველა ქვეყნის მილიტარისტები, ჩვეულებრივად ასეთ ჰანგებზე მღერიან ხოლმე და თუმცა ჩვენ ქვეყნის საგარეო მდგომარეობას ეს არ შეეფერება, მაინც მღერიან ასეთ ჰანგებზე და მილიტარისტულ სულს ერთგვარ მსხვერპლს სწირავენ. აქ ლაპარაკობდენ კონტრ-დამზვერავ ნაწილებზე. მე არ გამიკვირდება, რომ ნაციონალისტთა წარმომადგენელი ლაპარაკობდეს იმას, რასაც ქუჩაში გაიძახიან. მე ვამბობ, რომ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ამ ომის დროს, რომ ჩვენ არ გვცოდნოდა რომ მტერი ირაზმება და რა ადგილიდან აპირობს მოქმედების დაწყებას. რასაკვირველია, ეს ყოველთვის იქნება, რომ თითო ოროლა პირი ვერ იდგება სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ საერთოდ ვაღიარებთ, რომ დამზვერავი რაზმი ასრულებს თავის მოვალეობას პირნათლად. ცხენოსანთა რაზმის შესახებ. ორატორი ამტკიცებს, რომ შეუძლებელია ამ ცხენების სიმცირის დროს, ასეთ რაზმების შედგენა. რაც შეეხება სანაპირო რაზმებს, ქარუმიძემ უნდა იცოდეს. რომ ასეთ ნაწილების მოვალეობას არ შეადგენს მარტო საზღვრების დაცვა. სად იქნება გაჩერებული ესა თუ ის სანაპირო რაზმი, ეს ტეხნიკური საქმეა. რაც შეეხება კანტროლის მუშაობას, უნდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფო კანტროლმა იცის სად მიდის და როგორ იხარჯება ეს თანხები და სანამ მოისურვებდით ამ საკითხის აქ გამოტანას, შეეკითხებოდით კანტროლს,—იცის თუ არა მან როგორ იხარჯება გადადებული თანხები და აღარ დაგჭირდებოდათ ასეთი გამოსვლები, რომელიც არ არის გამოწვეული თავდაცვითი საჭიროებით. (ტაში).

ამავე საკითხის შესახებ ლაპარაკობს გრ. ვეშაპელი, რომელსაც პასუხი გასცეს გრ. გიორგაძემ და მომხს. იმნაიშვილმა. კამათის დასრულების შემდეგ მუხლობრივათ განიხილეს დეკრეტი, რომელიც უკამათოდ იქნა მიღებული.

**გ. თევზაიას** მოხსენებით მიღებულ იქნა. უკამათოდ დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთათვის ერთდროულ დახმარების სახით თითო თვის ჯამაგირის მიცემის შესახებ, მხოლოდ არა უმეტეს 3 ათასი მანეთისა. ამ დეკრეტის განსახორციელებლად გაღებულ იქნება სახელმწიფო ხაზინიდან 90 მილ. მანეთი.

შემდეგ ამისა დახურულ კრებაში განხილულ იქნა კანონ-პროექტი სამხედრო უწყების შტატის დამტკიცების და ცვლილების შესახებ; ღია კარებში კანონ-პროექტი სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების ზოგიერთ მუხ. შეცვლის შესახებ. დახურულ კარებში განიხილეს. კანონ-პროექტი სამსახურის ვადის გადიდებისა სასწავლო მცირე გუნდში სწავლა დამთავრებულ ჯარისკაცთათვის; კანონ-პროექტი სახალხო გვარდიის შტატის დამატებისა და ცვლილების შესახებ. ღია კარებში განიხილეს დეკრეტები: საქციზო მოხელის დასაკმაყოფილებლად ხარჯის გაღებისა; საერობო გზების მოსამსახურეთათვის დამატებითი გასამრჯელოს მისაცემად 144,430 მ. გადადებისა.

**ნ. იმნაიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ მოთხოვნილების საგნის მისაწოდებლათ მთავრობის განკარგულებაში 120 მილ. მან. გადადებისა: მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი, ყარაიაზის სახელმწიფო მამულის მეორე განყოფილების სისტემის სარწყავის დასამთავრებლად 9,363,000 მ. გადადებისა.

**გრ. გიორგაძე** მოახსენებს დეკრეტს 3 მილ. მან. გადადებისა მიხეილ არამიანცისაგან ჩამორთმეულ სახლის ფასის ასანაზღაურებლად.

ამ დეკრეტმა გამოიწვია კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ი. ნუცუბიძემ, ა. ასათიანმა და მომხსენებელმა. დეკრეტი მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით.

სხდომის დასასრულს მიღებულ იქნა საბოლოვო ტექსტები თავდაცვის ფონდისათვის 4000 მილ. მან. გადადების შესახებ და დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთათვის ერთ დროულ დახმარების სახით ერთი თვის ჯამაგირების მიცემის შესახებ.

## მუშათა შორის

**მეტყავეთა კავშირში.** „კომუნისტი"-ს მე-6 №-ში მოთავსებულია წერილი, რომელიც ეხება გაზ. „ერთობის" მე-121 №-ში მოთავსებულ წერილს, მეტყავეთა კავშირის, საზოგადო კრების ანგარიშს. როგორც ეტყობა, კავშირის ძველ გამგეობას ვერაფრად მოსწონებია ის, რომ კავშირის წევრებმა ის მიატოვეს. ვერ მოსწონებიათ ის, რომ მუშებმა აუღეს ალღო ძველ გამგეობის მუშაობას, მის „შემოქმედებას", და მის პოლიტიკურ მუშაობას პროფესიონალურ კავშირში. ამიტომ გაზ. „კომუნისტი"-დან სურთ გააბათილონ ის, რაც სრული ჭეშმარიტებაა, ის, რაც მუშების გაჭირვებული მდგომარეობის კარნახით მოხდა. თქვენ! მოგმართავთ „კომუნისტში" მოთავსებული წერილის ავტორებს! შეეცდებით უარყოთ ის, რომ მეტყავეთა კავშირს თქვენ უყურებდით პარტიული თვალსაზრისით? რომ კავშირმა თქვენი იქ ბატონობის ხანაში მიიღო წმინდა პოლიტიკური ორგანიზაციის ხასიათი? თუ ამას თქვენ უარყოფთ, მაშინ უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენთან კამათი გაგვიძნელდება. და განა რაც იქნებოდა ამის შედეგი ეს თქვენთვის გაუგებარია.

თქვენ! ბ-ბო! მოინდომეთ მუშების გაჭირვებული მთგომარეობით სარგებლობა. გინდოდათ გამოგეყენებიათ საერთო ეკონომური გაჭირვება თქვენი საკუთარი მიზნებისათვის, თქვენ გინდოდათ საქართველოში გამეფება და ამ მიზნით არ იშურებდით არავის და არაფერს. თქვენ იმის ნაცვლათ, რომ მუშების მდგომარეობაზე გეზრუნათ, გეწარმოებინათ ბრძოლა პროფესიონალურ ნიადაგზე, გაგეუმჯობესებინათ მუშების ეკონომიური და მატერიალური მხარე დაიწყეთ „კომუნიზმის" სასარგებლოდ აგიტაცია მუშებში, თქვენ გინდოდათ საბჭოთა რუსეთი მოგეჩვენებინათ მეტყავე მუშებისათვის სამოთხეთ, იმ ქვეყნათ, სადაც სოციალიზმი უკვე განხორციელებულია და სადაც მუშებს ყველაფერი აქვთ საბჭოთა წესების მეოხებით. თქვენი ასეთი აგიტაცია ზოგიერთ მუშებს აყენებდა მრუდე გზაზე. იმათ „ხაზეინებთან" ბრძოლას თითქმის თავი დაანებეს და მიზნათ დაისახეს საბჭოთა წესების შემოღება საქართველოში, რადგან იმათ თქვენი სიტყვიდან იცოდენ, რომ ხსნა თანამედროვე გაჭირვებულ მდგომარეობიდან მხოლოდ საბჭოთ წესების შემოღებაშია.

შემდეგ კი მუშებმა როგორც თქვენც იცით და, რაც თქვენ ასე ძალიან გაწუხებთ შეიგნეს, რომ არავითარი საბჭოთა წესები მათ პურსა და შაქარს არ მოუტანდა. მათ შეიგნეს, რომ საბჭოთა რუსეთი კომუნისტების მეოხებით დანგრეულია, გაძარცულია, მიმოსვლა შეწყვეტილია, გაიგეს, რომ მოსკოვში მხოლოდ ჭუჭყი და ნაგავი მეფობს, ამ ნიადაგზე კი აღმოცენებულია ტიფი, სახადი. ხოლერა და სხ. მათ არ გამოეპარათ არც ის, რომ საბჭოთა წითელარმიელები სადაც შედიოდნენ, შექონდათ თავისი „წესები" რაც გამოიხატება ძარცვა - გლეჯაში, რბევაში და სხ. ამის შემდეგ როცა დარწმუნდნენ თქვენი სიტყვების სიცრუეში, მუშების დიდმა ნაწილმა მოინდომა თქვენი კავშირიდან გამოყოფა „დაბლების" მუშები, რომელთა რიცხვი 150 კაცს აღემატება. სამხ. სამინისტროს ორივე სახელოსნოების მუშები რიცხვით 160 კაცი. სულ სამასზე მეტი გამოეყო თქვენს კავშირს. და ყოველგვარ თავის პროფ. საქმეს აწარმოებდა, ცალკე, დამოუკიდებლათ, სეკრეტარიატის დახმარებით, ამათ შეუერთდნენ სხვა წვრილი სახელოსნოების მუშებიც. შექმნეს სამი ძლიერი შეერთებული საქარხნო კომიტეტი. და აი სწორედ ამ საქარხნო კომიტეტების თაოსნობით იყო მოწვეული საზოგადო კრება. თქვენ ბრძანებთ, რომ მეტყავეთა საქარხნო კომიტეტები ჩვენთან შეთანხმებითა მუშაობენო. მართალი არ არის. ის კომიტეტები, რომლებიც მე ზევით დავასახელე დიდი ხანია თქვენ ჩამოგშორდნენ, თქვენ აღარა გცნობენ. ყოველგვარ თავის პროფესიონალურ საქმეს აწარმოებდნენ ცალკე, დამოუკიდებლათ. ემზადებოდნენ ამ დღისთვის, როდესაც გაძლიერდებოდა მათი კომიტეტები, შემოუერთდებოდა მათ სხვა წვრილი ქარხნების მუშები, და აი, ის დღეც მოახლოვდა, ეს არის 14 მაისი. ჩვენ წინასწარ გვქონდა მუშების აღწერა და 500-ზე მეტი მუშა იყო კრების მოწვევის მომხრე. თქვენ უნდა დამეთანხმოთ, რომ სამხედრო სამნეო კომიტეტი ფეხსაცმელ სახელოსნოების მუშათა და დაბლების მუშათა კომიტეტები არიან ყველაზე ძლიერი კომიტეტები მეტყავეთა კავშირში. მათ მიეკედლნენ სხვა წვრილი ქარხნებიც და შეიქმნა 600-ზე მეტი კაცი. ეხლა გეკითხებით ჰქონიათ თუ არა უფლება ამ კომიტეტებს მოეწვიათ საზოგადო კრება?

თქვენა ბრძანებთ, რომ 60 მუშა დაესწრო კრებას და ისიც არა წევრებიო, ნამუსიც კარგი საქონელია. მართლაც საკვირველია იქამდის როგორ მიგყავხართ პარტიული კაპიტალის გაზრდას, რომ ასეთ ჭორის გამოგონებას კისრულობთ, მაგრამ ჯერ ერთი, თუ თქვენ გინდოდათ სიმართლე გაგეგოთ, რატომ არ ინებეთ კრებაზე დასწრება. გაზეთებში ორჯერ იყო გამოცხადებული, თქვენც გაცნობეთ ცალკე, მაგრამ თქვენ არ ინებეთ მობრძანება, რადგან იცოდით, რომ ის კრება თქვენ სამარეს გიმზადებდათ. ეხლა გადმომდგარხართ გაზ. „კომუნისტი"-დან და გსურთ გააბათილოთ სიმართლე. კრებას რომ კავშირის 247 წევრი დაესწრო ამას დაამოწმებენ ყველა იქ დამსწრე მუშები, და თუ თქვენ გინდათ მუშებს თვალები აუხვიოთ და დაარწმუნოთ სიცრუეში, ამით თქვენ ფონს ვერ გახვალთ. მუშები ეხლა თქვენ საკმაოთ გიცნობენ. თუ იმას იტყვით, რომ კრება მცირე რიცხოვანიაო, 247 კაცზე მეტის შეკრება მუდამ არ არის შესაძლებელი; უმრავლესობა კავშირის წევრებისა საზოგადო კრებას მუდამ არ ესწრებოდა.

თქვენ მოგყავთ ამხ. კოჭლამაზაშვილის სიტყვა: „ჩვენ გვინდა ერთად შეკავშირებულათ ყოფნა, ჩვენ არ გვინდა ცალ-ცალკე არსებობა — ეს მავნებელია"-ო. თქვენ ეს ისე გაგიგიათ, როგორც თქვენ მოგსურვებიათ. ამხ. კოჭლამაზაშვილს ამით ის კი არ უთქვამს, რომ მეტყავეთა კავშირიდან გამოყოფა მავნებელიაო—არამედ ის, რომ მთელი საქართველოს და კერძოთ თფილისის პროლეტარიატიდან გამოყოფაა მავნებელიო. თორემ განა კოჭლამაზაშვილმა არ იცის, რომ მეტყავეთა კავშ. ძველ გამგეობასთან მუშაობა შეუძლებელია, რომ მათგან საჭიროა დროებით გამიჯვნა? სანამ მეტყავე მუშები ყველა შეიგნებენ ძველი გამგეობის საქმიანობას. შემდეგ ბრძანებთ, რომ „არც ერთი განცხადება არ შემოსულა არც ერთ მუშისაგან კავშირის უკმაყოფილებაზე"-ო. განა, როდესაც მუშას თქვენ ყურადღებას არ აქცევდით, მათ თხოვნას ყურს არ ათხოვებდით, როცა თვითეული მათგანი ოთხჯერ, ხუთჯერ მოდიოდა თავის საქმისთვის და თქვენ კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდით, მერე ისინი მოვიდნოდენ და თქვენთან? თქვენ თუ ძალიან დაგჭირდებათ, დაგისახელებთ იმ მუშებს, რომლებიც თქვენი ასეთი მუშაობით გაცრუებულნი სამუდამოთ ჩამოშორდნენ კავშირს და წყევითაც კი იხსენიებენ მას თქვენი მეოხებით. თქვენ კი წერილობითი განცხადება გნებავთ მოგართონ იმაზედ, რომ თქვენ მას ყურადღება არ მიაქციეთ. მერე რა ვთქვათ: მოგიტანეს წერილობითი განცხადება, შემდეგ ისევ ისეთი პასუხი არ უნდა მიგეცათ, რაც განცხადების შემოტანის წინ მიეცით.

რაც შეეხება თქვენ მიერ მის მტკიცებას, რომ თქვენ არავითარი ფული არ დაგიხარჯავთ კავშირის სალაროდან პროკლამაციებზე და რომ თქვენ საქართველოს მუშებს არ გამოყოფილხართ, ამის საწინაამდეგოთ ლაპარაკობს თქვენ მიერ გამოცემული პროკლამაცია, სადაც მოუწოდებდით კავშირის წევრებს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ. კეთილ ინებეთ და დაამტკიცეთ, რომ ეს პროკლამაცია არ იყო თქვენ მიერ გამოშვებული და ის არ იყო საქართველოს მთავრობის და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წინააღმდეგ მიმართული. დასასრულ გადაჭრით ვაცხადებ გამგეობის სახელით, რომ ეს გამგეობა არის კანონიერი საზოგადო კრების მიერ არჩეული. მას აქვს უფლება არამც თუ უწოდოს თავის თავს გამგეობა, არამედ—მოგთხოვოთ კავშირის ინვენტარი და ოთახები.

**ვანიკო.**

---

**ხელზე მოსამსახურეთა კავშირში.** გამგეობამ 19 მაისის სხდომაზე დაადგინა: 1) კავშირის წევრების დახოცილი მეომრების შესახებ. ფრონტზე დახოცილი გვარდიელები და ჯარის კაცები, მიიღებენ სრულად თავის წილს საერთო კასიდან ექვსი თვის განმავლობაში.

2) დაჭრილები და ფრონტზე მყოფი გვარდიელები და ჯარის-კაცები მიიღებენ თავის წილს საერთო კასიდან თანახმად კანონისა ჯარში გაწვეულთა შესახებ. ე. ი. ნახევარს შემოსავლის.

3) არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს დაჭრილების მდგომარეობა და აცნობოს გამგეობას, თუ ვინ საჭიროებს დახმარებას; დახმარების აღმოჩენა მიენდოს გამგეობას.

— შაბათს, 19 ივნისს, ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიმართება დიდი სეირნობა, რომელიც გასტანს ღამის სამ საათამდის. ბაღში გაიმართება ლატარია და დაუკრავს ორკესტრი. კლუბის სცენაზე გაიმართება წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით, რომელშიაც მონაწილეობენ დები თარხნიშვილები, ი. ზარდალიშვილი და საოპერო დასის არტისტი ნიკოლსკი, შემოსავალი მოხმარდება ამავე კლუბის ფონდს.

— პროფ. კავშირის საბჭოს სხდომამ საკითხი აღძრა მწარმოებელთა მოგებაზე კანტროლის დაწესების შესახებ, იმ მიზნით, რომ ებრძოლონ პირველ საჭიროების საქონელზე ფასის მომატებას. დადგენილ იქნა საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტს მიენდოს საჭირო მასალის შეკრება და მისი სპეციალური გამოკვლევა.

— პროფ. კავშირები აღნიშნავენ საჭიროებას, რათა სატარიფო პალატის მოქმედება პროვინციებზედაც გავრცელდეს იმ აზრით, რომ მოეწყოს პალატის განსაკუთრებული სესია, რომელიც ადგილობრივ ჩამოივლის პროვინციებს. ამის საჭიროებას ასაბუთებენ მით, რომ ერთგვარი პირობები არ არის აქ, თფილისში და პროვინციებში,

— პროფ. კავშირების საბჭომ საკითხი აღძრა საქართველოს მუშების დელეგაციის საზღვარ-გარეთ და რუსეთში გაგზავნის შესახებ, იმ მიზნით, რომ გაეცნონ საზღვარ-გარეთის და რუსეთის პროლეტარიატის მდგომარეობას და პროფესიონალურ მოძრაობას. პროფეს. კავშირების თათბირმა სურვილი გამოსთქვა, რომ სულ მოკლე ხანში გაიგზავნოს ევროპაში საქართველოს პროლეტარიატის წარმომადგენლები, გარდა ამისა, დადგენილია გაემგზავრონ ევროპაში სხვადასხვა პროფესიების მუშები, რომ იქ თავისი სპეციალობა უკეთესათ შეისწავლონ.

— მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში ცენტრ. მომრიგებელ კამერაში 201 საქმე შევიდა. 119 შესახებ განსაზღვრული გადაწყვეტილებანი იქნა გამოტანილი. დანარჩენი საქმეები არ გარჩეულა, ან მომჩივანთა არ გამოცხადების მიზეზით და ან კონფლიქტის მშვიდობიანათ დასრულების გამო. კამერის საქმეთა შორის პირველი ადგილი უჭირავს იმ კონფლიქტებს, რომლებიც დაიბადა წარმოების, ან შტატის შემცირების გამო მოსამსახურეებზე სალიკვიდაციო ფულის მიცემის გარშემო. მეორე ადგილზე დგას შრომის ხელფასის მომატების მოთხოვნილებანი. ოთხი თვის განმავლობაში სულ მომჩივანთ მიუსაჯეს 4 მილ. მანეთი.

## პროვინცია

**სოფ. დოესი** (გორის მაზრა). ისე ჩამორჩენილი სოფელი, როგორც დოესა, გორის მაზრაში იქნებ არ არსებობდეს.. არ იციან მცხოვრებლებმა თუ რა ჰქნან. რასაც უნდა სჩადიან ამორჩეული კაცები, არავის არაფერსა ჰკითხავენ. 9 მაისს რუს ზედამხედველმა განაცხადა: მდინარე რუს სათავე მოგლიჯაო. გასცეს ბრძანება ურმები მოეყვანათ მასალის წასაღებად. გაფუჭებულ რუს გზა ქონდა უხერხული, სადაც ურმები არ უდგებოდა, თუ არ გასულიყვნენ მდინარე თეძამში; მდინარე ადიდებული იყო და გასვლა ხალხს მეტად გაუჭირდა; ბევრი ვერც კი გავიდა. ზოგი ურემი გადაბრუნდა. ამ ამბავის დროს არავინ მეთაურთაგანი იქ არ იყო და ხალხმა თავის ინიციატივით დაიწყო ყველაფრის კეთება და შეველა იმათი, ვინც ილუპებოდა. და თვით საქმის კეთებაც ესე უმეთაურობით იყო წარმოებული; ამიტომ საქმე შეფერხებულია, ამას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

კვირას, 13 თიბათვეს სოფ. ხოვლედან მიდენილან გზათ ორი ქალი მიქუტიშვილები. გზაში მათ შეხვედრიათ ვიღაც პიროვნება, რომელსაც მოუნდომია მათთვის შეურაცყოფის მიყენება და ქალები დაუწიოკებია. ბოროტი კაცის შემდეგ ქალები დაბრუნებულან სოფ. დოესში და იქ უპოვნიათ ის კაცი, რომელიც გამომდგარა გორის მაზრის სოფ. დოესში მცხოვრები ხ—შვილი. იმედია ამ მოვლენას მიაქცევს სათანადო ყურადღებას ადმინისტრაცია.

**X.**

---

**ქ. ხაშური.** 10 ივნისს, რკინის გზის სასწავლებელში შესდგა ქ. ხაშურის საშუალო და დაბალ სასწავლებლების მასწავლებელთა კრება ფილიალურ განყოფილების დასაარსებლად. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ. კიკნაძე, მდივნათ ქ. გეგელიძე. თავმჯდომარის მოკლე მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი გამგეობა და სამი პირისაგან სარევიზიო კომისია.

---

**ძირულა** (შორაპ. მაზრა). ამ თემად საზოგადოთ სიმინდი არ მოდის და მცხოვრებთა დიდი უმეტესობა ყიდულობს მას. ამიტომაც ძალიან გრძნობენ წელს შიმშილის სიმკაცრეს აქაური მცხოვრებლები და განსაკუთრებით მისი ულარიბესი ნაწილი, უკანასკნელნი ყიდიან თავის ისედაც მცირე ადგილებს, მომავალ მოსავლის ტკბილს და სხვა. ხშირათ შეხვდებით კაცს, რომელსაც მიაქვს წისქვილზედ 4—5 გირვანქა სიმინდი დასაფქვავად, აქედან ის ანაწილებს დღეში თითო ჭადს 3—4 სულზედ, დამატებით კი საზრდოობენ ტყემლით და სხვა ხილით.

საჭიროა დახმარება, მაგრამ ვის მივმართოთ? მთავრობას ისედაც მძიმე ტვირთი აწევს და ჩვენც რომ კისერსედ ჩამოვეკიდოთ, შეუძლებელია, ისევ ადგილობრივ თვითმართველობას უფრო შეეძლო რაიმეს გაკეთება, მაგრამ ასეთი ჯერ ჩვენ არა გვაქვს, ვინაიდან შეაფერხა საქმე ცენტრის შესახებ დავამ და მხოლოდ ეხლა, 20 ივნისს, არის დანიშნული თემის არჩევნები. ხალხს ესმის, რომ ამ საკითხის გამწვავების ერთი მიზეზთაგანია გარეშე მტრის თავდასხმა და ამან ერთი რამ ასწავლა ხალხს: ის, რომ გაუმაგროს ზურგი ჩვენი თავისუფლების დამცველ მებრძოლებს და უსიტყვოთ ამუშავებენ მათ ადგილებს. აქაც შესდგა ფრონტის დამხმარე კომიტეტი ბაზარმა გაიწერა ოცი ათასი მანეთი ასევე ხდება სოფელზედაც. 5 ივნისს აქ მოეწყო საღამო ფრონტის სასარგებლოთ. ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „საშინელი შურისძიება", და ვოდევილი „მეჩექმესთან". ადგილობრივი ქარხნის მოსამსახურეება რუსული პიესები ითამაშეს. როგორც ქართულათ, ისე რუსულათ წარმოდგენები კარგათ ჩაიარა და ხალხი დიდი ნასიამოვნები დაიშალა, მაგრამ ეს სიამოვნება დაჩრდილა ვიღაც გაიძვერას მოქმედებამ, რომელმაც ქარხნის გამგის მეუღლეს, რომელმაც სცენაზედ ითამაშა, მოპარა ძვირფასი სამკაულები, ქურდი ჯერ ვერ აღმოაჩინეს, ხალხი ძალზედ აღელვა ამ სისაძაგლემ.

აქ ბლომათ მოდის ხილი, რომელსაც მცხოვრებლები ყიდიან სადგურზე მატარებლების დროს და სხ. მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევს მათ სადგურის მილიციონერი და ერეკება მათ საზღვარის გარეშეც ხიდის გაღმა. იქ მყიდველი ვერ მიდის და ამნაირათ, გამყიდველები უვარდება ხელში სადგურის მებუტკეს, რომელიც სარგებლობს ამ გარემოებით და ეუბნება: „სულ ერთია, ჩემს ხელში ჩავარდებითო". ის ყიდულობს მუქთად ხილს და აგზავნის სურამში, ბორჯომში და სხვა ქალაქებში იქ ძალა-უნებურათ მეპარება ეჭვი: ხომ არაფერი კომბინაციები ხდება მებუტკესა და მილიციონერს შორის? თუმცა მართალია აქვთ მათ განკარგულება არ მოუშვან. გამყიდველები მატარებლის ახლოს, მაგრამ არის შესაძლებლობა ერთი ადგილი მიუჩინონ მათ, რაც აგვაცდენს მოსალოდნელ ხიფათს. ეს ადვილი მოსახერხებელია, ვინაიდგან საშიშოა მარტო ერთ მატარებელზე (№ 4) და ნუ თუ არ შეუძლია მილიციონერს გაჩერდეს იქ 5 წუთი და არ მისცეს საშუალება გამყიდველებს შემოეხვიონ მატარებელს. ესეც არ იყოს, იყო წინადადება როგორც გავიგე, რომ გააკეთებდენ მოაჯირს, რომლის შიგნითაც იქნებოდენ გამყიდველები. ყველაფერი ეს მოსახერხებელია, მხოლოდ მონდომება არის საჭირო და კარგი იქნება მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, რითაც საშუალება მიეცემა გაჭირვებულ ხალხს გაყიდოს თავისი ნაშრომი. ყურძნის და ხილის მოსავალს კარგი პირი უჩანს.

**—ოხი.**

---

**ჩოხატაური.** ეს რაიონი ყოველთვის კრიზისს განიცდიდა სურსათის მხრივ მცირე მოსავლის გამო კრიტიკულ მდგომარეობაშია დღეს. საერთოდ აღმოსავლეთ გურიაში შიმშილობა უკვე დაიწყო. სიმინდის ფასი საზღაპროთ გაიზარდა. დღეს ბაზარზე 600—700 მანეთამდე ფასობს და ისიც ნაკლებათ იშოვება. კიდევ უცდიან სოფლის სპეკულიანტები ფასების მომატებას. ხალხის უმრავლესობა გამოურკვეველ მდგომარეობაშია. ფული ხალხში ნაკლებათ არის, ხშირად შეხვდებით ბაზარზე მსხვილ და წვრილ-ფეხა საქონელს გასასყიდათ ძალიან იაფ ფასებში, ხშირათ ნახავთ ბაზარზე სხვადასხვა ავეჯეულობას გასასყიდა ჩალის ფასათ. მაგრამ აქაც არ სძინავთ სპეკულიანტებს. უცდიან შესაფერ მომენტს—ამბობენ: ჯერ არ არის ხალხი კარგათ გაჭირვებული მერმე კი სულ ჩალის ფასათ ჩავიგდებთ ხელშიო. კარგია ვისაც რაიმე აქვს გასაყიდი, მაგრამ უბედურია ის, ვისაც არაფერი გასასყიდი აქვს და რამდენიმე ოჯახის წევრები კი ყავს სარჩენი.

ისინი იმედ-დაკარგული, ყოველივე საშუალებას მოკლებული, შიმშილის მსხვერპლათ უნდა გახდნენ.

ჯერ ივნისია და ასე საშიშ მდგომარეობაში არის ხალხი. აბა, რა მდგომარეობა იქნება დანარჩენ სამი თვის განმავლობაში. ხშირათ ღარიბი ხალხი იკვებება ხილეულობით, რაც გააჩენს ათასგვარ გადამდებ სენს და ხალხს მიიყვანს ფიზიკურ განადგურებამდე. საჭიროა ზომების მიღება. მდგომარეობა მეტად სერიოზული და დამაფიქრებელია.

**პეტრე პაიჭაძე.**

## წერ. რედაქციის მიმართ

ოზურგეთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო ულრმეს მადლობას უცხადებს ოზურგეთის ხელოსანთა ბანკს—2000 მანეთის შემოწირვისათვის ულარიბეს მოწაფეთა სწავლის ფულიდან გასანთავისუფლებლათ.

პედაგოგიური **საბჭო.**

გაზეთ „კლდის" მე-24 ნომერში მოთავსებული იყო წერილი „ბორჩალოს მაზრის რევიზიისთვის" ვინმე „ქ. ს". სადაც „ქ. ს". უსირცხვილოდ ცილს მწამებს მე და ცდილობს ბოროტ-მოქმედება დამიმტკიცოს. ვინაიდან მე არც დრო და არც სურვილი არ მაქვს ვეკამათო მოცლილ ხალხს, მოვითხოვ „კლდის" რედაქციისგან ახადოს ნიღაბი ბატონ „ქ. ს." შემდეგ № 31, რათა შეძლება მომეცეს ცილისმწამებელი სამართალში მივცე, წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები სამართალში მივცე თვით რედაქტორი.

ბორჩ. ერობის თავმჯდომარე
**პ. კავკასიძე.**

## ცნობები

ვალოდია იგივე ვალერიან ავქსენტის ძე წულაძე მსახურებდა გურიის სახალხო გვარდიის ბათალიონში 2-რე გუნდი 3-მე ოცეული, იმყოფებოდა წითელი ხიდის მხარეს. ამ დღეებში მის ამხანაგებიდან წერილი მივიღე, ავათმყოფი გამოგზავნეს ნავთლუღის საავათმყოფოში. იმ დღიდანვე მოვახდინე გამოძიება ნავთლუღის სამხედრო საავათმყოფოში და თფილისის საავათმყოფოებში, მაგრამ ვერავითარი ცნობა ვერ მივიღე და თუ ვინმემ რამე იცის, ეთხოვ მაცნობოს შემდეგი ადრესით: ყვირილის ქუჩა № 3, 10 უბანი ვარდენ წულაძე.


## განცხადებანი

**იყიდება**
**საკერავი მანქანა-შკაფი**
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

---

**სტენოგრაფიის კურსები**
ქართულ და რუსულ ენაზე
მამა-დავითის ქ. № 36 5—6 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა. (1930 1—1)

---

**დაიკარგა**
ნამსახურობითი სია მოცემული 262 ფეხოსან გროზნენსკი პოლკიდან ვარლამ ბარამიძის. მნახველს ვსთხოვ ფასდადებით გამომიგზავნოს შემდეგ ადრესზე: **ქ. ლანჩხუთში, ვარლამ ო. ბარამიძეს.** მნახველმა მისამართი მაცნობოს საჩუქარს მივაწვდი.
1923 1—1)

---

**განცხადება**
ყ. ს. უ. გ. დ. დ. გ. ი. მ. მ. მომავალ სამოსწავლო წლიდან მსურს დავიკავო
**მასწავლებლობის**
**ადგილი**
სოფელში არა უშორეს „გორსა და კახეთსა". ჩემი ცენზი საშუალო განათლებისა 2765 სპეციალური წოდებისა № 3085, სამხედრო ბეგრის № 4641, მისამართი: პლეხანოვის ქ. 25, შესავალი ალექსის ქ. № 5.
P. S. ვიღებ მხოლოდ წერილობითი მიმართვას. მ. მ. ი. მ.
(ნ. 3—2)

---

**ექიმი**
ჰენრიხ ისაიას ძე **ვოლოხი**
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.
(1741—თ.)

---

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

---

**ექიმი**
**გ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

---

ექიმი **ივ. გოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკეიშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

---

**დოქტორი**
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

---

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 -თ.

---

**ექიმი**
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

---

**ექიმი**
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

---

**ექიმი**
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

---

**ექიმი**
**ა. ლევენშტეინი**
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

---

**ექიმი**
**ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

---

**ექიმი**
**პ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანასა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

---

ექიმი **მ. გოლდშტეინი**
თვალით ავათმყოფი (სათვალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

---

**ექიმი**
სოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

---

**ექიმი**
**ე. მ. მძინარიშვილი**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

---

**ექიმი**
**ნ. მ. გაჩეჩილაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—3)

---

**მიწათ-მოქმედების სამინისტრომ**
გახსნა რუსთაველის პრ, № 24 სახელმწიფო ღვინის თფილისის სარდაფის განყოფილება, სადაც იყიდება ყოველნაირი სახელმწიფო ღვინოები. (1882—3—3)